ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 13 იანვარი, 2023

№9 (9045)

ფასი: 80 თეთრი

გელა ნიკოლაიშვილი: „დარწმუნებული ვარ, 1 წლის მერეც სააკაშვილი ცოცხალი იქნება და ჯანმრთელიც“



გვ.5



გვ.5

Human Rights Watch – გადაუჭრელ პრობლემად დარჩა სამართალდამცავთა დაუსჯელობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის

# „მერაბიშვილი ახლა ხაბეიშვილის „ხერხემალია“



გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის რუსულ ინტერესებზე ასხამდა წყალს“





გვ.2

კახა ქემოკლიძე: „2023 წელი ფარული ჩანაწერებით გაიხსნა, ეს მიანიშნებს, რომ „ოცნებას“ ქართველი საზოგადოებისთვის შესათავაზებელი არაფერი აქვს“

# „ქართული ოცნება“ დაჯდა ზუსტად იმ ნარატივზე, რომელზეც სააკაშვილი წლების განმავლობაში საუბრობდა“



გვ.3

## „მერიის პასუხისმგებლობაა, მოყინული გზების გამო ავარიები რომ ხდება“

ნიკა შენგელია: „გზებზე მარილის დაყრა, ეს 70-იანი წლების გადმონაშთია, არსებობს სპეციალური სითხეები და ის უნდა მოასხან“

## „პოდოლიაკის განცხადებები ქართულ-უკრაინული ურთიერთობების კონტექსტიდან ამოვარდნილია“



გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „ჩვენ რუსეთთან პირდაპირ ომში ვართ. ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია. ის სახელმწიფოები, რომლებიც უკრაინას ეხმარებიან, რუსეთთან ამ ტიპის დაპირისპირებაში არ იმყოფებიან. ეს არის ძალიან სერიოზული ფუნდამენტური სხვაობა“

## საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მოქმედი უვიზო მიმოსვლა კიდევ უფრო გამარტივდა

ირაკლი ღარიბაშვილი ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა



გვ.2



## რა ფეიკის გავრცელებას არ ეშვება რუსეთის თავდაცვის სამინისტრო?

გვ.4



## რუსეთის კლანებში აურზაურია



გვ.5

## ძალადობაში ბრალდებულია მომღერალი აჩი მეფარიძე



გვ.6

## მეცნიერებმა ყველაზე ჭკვიანი და სულელი ძაღლის ჯიშები გამოავლინეს



გვ.7

## მამარდაშვილი გმირობამდე თანაგუნდელებმა არ მიუშვეს

1993230720223

5 „სინანული არ გაჩნია“ – პროკურორი მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ ყოფილ პოლიციელზე

5 კახეთში მანქანა ხევში გადავარდა – დაღუპულია სიღნაღის მერიის თანამშრომელი

6 ვეფხვის თავდასხმას გოგონა ცოცხალი გადაურჩა

6 ხელოვნების სასახლეს ოქროს მედალოსანი მხატვრის ნამუშევარი აჩუქეს

# „ქართული ოცნება“ დაჯდა ზუსტად იმ ნარატივზე, რომელზეც სააკაშვილი წლების განმავლობაში საუბრობდა“

## კახა ქემოკლიძე: „2023 წელი ფარული ჩანაწერებით გაიხსნა, ეს მიანიშნებს, რომ „ოცნებას“ ქართველი საზოგადოებისთვის შესათავაზებელი არაფერი აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.



***— ბატონო კახა, წლის დასაწყისთან ერთად ფარული ჩანაწერების ბუმია. რა ხდება? ბოლო ჩანაწერზე უნდა გკითხოთ, რომელშიც სააკაშვილის დედა, გიული ალასანია ფიგურირებს და სადაც გიორგი გახარიაზეცაა საუბარი. ვისმენთ შეფასებებს, რომ გახარია როგორც ხელისუფლებას, ისე ნაციონალურ მოძრაობას არ მოსწონს. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— ჩვენ უკვე ძალიან ხშირად ვამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ ერთი ერთში დაემსგავსა ნაციონალურ მოძრაობას. ფარული ჩანაწერები კი ერთ-ერთი ინდიკატორია, რომელიც ამ ფაქტს ძალიან კარგად ასახავს. ის, რომ სწორედაც ფარული ჩანაწერებით გაიხსნა 2023 წელი, მიანიშნებს იმას, რომ ხელისუფლებას ქართველი საზოგადოებისთვის შესათავაზებელი არაფერი აქვს პოზიტიური დღის წესრიგში. მხოლოდ და მხოლოდ ამ სეირის და სანახაობის შექმნით არის დაკავებული. ეს, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანას ვერ წაიყვანს სწორი მიმართულებით. რაც შეეხება ქალბატონი გიული ალასანიას კომენტარს, სასაცილოა, რომ თურმე „ქართული ოცნებისთვის“ გიული ალასანიას სიტყვები გახდა განმსაზღვრელი. ალასანიას განცხადება რაში გვჭირდებოდა, თავის დროზე, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი კომენტარს აკეთებდა გახარიაზე, ის ხან ფსბ-ეს აგენტად იხსენიებდა და ხან კრემლის მიერ დანიშნულ პოლიტიკოსად და ა.შ. რა არის გასაკვირი იმაში, რომ ქალბატონი ალასანია ზუსტად იმეორებს მიხეილ სააკაშვილის ნარატივს. „ქართული ოცნება“ დაჯდა ზუსტად იმ ნარატივზე, რომელსაც ქალბატონი ალასანია და ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი მთელი თვეების და წლების განმავლობაში საუბრობდნენ.

***— რატომ მაინცდამაინც ახლა გამოაგდეს ეს ფარული ჩანაწერები? აღარაფერი შემორჩა „ოცნებას“ და არ იცის, რით შეიყოლიოს საზოგადოება? რომ იტყვიან, პური და სანახაობაო, ეს სიტუაციაა ახლა.***

— აბსოლუტურად ეგრეა. ნამდვილად პური და სანახაობის მომსწრენი ვართ. „ქართული ოცნება“ ვერც პოლიტიკურ პროგრესს აჩვენებს, ვერც რაღაც ტექტონიკურ გარღვევას საგარეო პოლიტიკური კუთხით. წარმოუდგენელი გეოპოლიტიკური ფანჯარაა ჩვენს ცხვირწინ გახსნილი. იმის ნაცვლად, რომ შექმნან სამუშაო ადგილები, საქართველოდან არ გაედინებოდნენ ასე მასშტაბურად ყველაზე ძლიერი და მყარი მუშახელი. 100 ათასზე მეტი ადამიანი გავიდა 2021 წელს, ახლა გამოჩნდება, 2022 წელს რამდენია წასული, რამდენი ემზადება წასასვლელად. ამავდროულად, მთელი ამ ნეგატიური კამპანიების ფონზე, პოლიტიკური მოცემულობა გვაქვს ასეთი, რომ „ქართულ ოცნებას“ თურმე ფარული ჩანაწერების გარდა არაფრის შეთავაზება არ შეუძლია. გამოიცანით, ეს ფარული ჩანაწერები ვისი ხელწერა იყო 2012 წლამდე.

***— ცდილობენ, რომ ისევ ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილის თემა იყოს ზედაპირზე. მაქსიმალურად აქეთ ექაჩებიან საზოგადოებას.***

— დიახ, ნამდვილად ასეა. ჩემი აზრით, ჩვენ მივდივართ იმ მომენტამდე, როდესაც საქართველოს გონიერი მოსახლეობის გააზრებული არჩევანის დრო დგება. გონიერი მოსახლეობა გააკეთებს ნამდვილად სწორ არჩევანს 2024 წლისთვის, რომელიც არის გადამწყვეტი, ძალიან საინტერესო და უკიდურესად მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის.

***— თუ ასე გაგრძელდა, ასეთი სუსტი ოპოზიციის პირობებში, რა მოლოდინი გაქვთ, რომ 2024-ში რაღაც მნიშვნელოვნად შეიცვლება?***

— მე მოლოდინი და იმედი მაქვს საქართველოს გონიერი მოსახლეობის. ჩვენს ხალხს ძალიან ბევრის მოთმენა შეუძლია, მაგრამ ეს ადამიანები არიან გონიერები და ეს გონიერი ამომრჩეველი, გონიერ არჩევანს ნამდვილად გააკეთებს. კრისტალირდება საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტზე პროცესები. შესაბამისად მგონია, რომ რაც უფრო მეტი დრო გავა 2024-მდე, აი ჯერ 2023 არ დამდგარა და „ქართული ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს. 2024-მდე რას მოიმოქმედებენ, ჯერ არავინ იცის. ასე რომ, დაველოდოთ.

***— ძალიან ცუდად დაიწყო ხელისუფლებამ 2023 წელიო. ევროპასთან ერთად, ახლა ამერიკასაც ებრძვიანო. საუბარია, რომ ზაზა შათირიშვილმა პირდაპირ ივანიშვილის დამოკიდებულება გაახმოვანა ამერიკასთან დაკავშირებითო. თქვენ რას იტყვით?***

— სწორად ახსენეთ შათირიშვილის წერილი. მისი ეს ე. წ. რევოლუციური აზრები, თურმე, როგორ მართავენ ელიტური ოჯახები შეერთებულ შტატებს. ვიღაც შათირიშვილი ასწავლის ამერიკას, როგორ უნდა იმართებოდეს დემოკრატია. სახელმწიფო, რომლის ინსტიტუციებმა გაუძლო დროს და გაუძლო ძალიან სერიოზულ გამოწვევებს. მათ კარგად იციან, რომ უნდა ემსახურებოდნენ ყველაზე წმინდას, სახელმწიფო ინტერესებს. ვიღაც შათირიშვილი კი ივანიშვილის აზრებს რომ იმეორებს, თურმე, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებს რამდენიმე ოჯახი მართავს, ნუთუ არ შეიძლება პატარა საქართველოს ერთი ოჯახი მართავდეს? აი ეს მოსაზრება არის უბრალოდ დამღუპველი და ამავდროულად კლასიკური ილუსტრირება იმის, როგორ შეიცვალა თავად ბატონი ივანიშვილის მენტალიტეტი და სახელმწიფოებრივი აზროვნება 2012 წლიდან 2022 წლის მიწურულს. ძალიან მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის ფაქტი, რომ რეალურად ძალიან გონიერი ადამიანების გადასაწყვეტი იქნება ჩვენი მომავალი 2024 წლისთვის.

***— ბატონო კახა, აქტიურად საუბრობენ „ქართული ოცნების“ შიგნით არსებულ დაპირისპირებაზეც. როგორ ფიქრობთ, შემორჩა შიგნით ვინმეს საღი აზრი? შეიძლება ვინმემ გაბედოს და დაუპირისპირდეს ივანიშვილს? სერიოზულ გადალაგებასაც შეიძლება ველოდოთ თვის ბოლოდანო. რამდენად სჭირდება ივანიშვილს ახლა საკადრო ცვლილებები?***

— საკმაოდ რთული, მაგრამ კარგი კითხვაა. „ქართულ ოცნებაში“, ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ იქ ზოგიერთ ადამიანს ნორმალური განათლება აქვს, დღეის მოცემულობით, არც ერთს არა აქვს იმის უნარი და გამბედაობა, რომ საკუთარი მე და საკუთარი რეალური პოზიცია დააფიქსიროს. „ქართული ოცნების“ ტრაგედიაც და უბედურებაც მდგომარეობს ამაში. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი მიდის იქამდე, რომ არც ერთი ჭკუათმყოფელი, საღი აზროვნების უნარით, იქ უკვე აღარავინ არის. ან არიან და ვერ ბედავენ ამის დაფიქსირებას. შესაბამისად, მე არ მგონია, რომ რაღაც ტექტონიკური გადალაგება იქნება. იმიტომ, რომ ივანიშვილს სჭირდება მორჩილი უმრავლესობა. ამ ყველაფერს ისევ და ისევ სჭირდება გონიერი მოსახლეობის პასუხი, რომელიც 2024 წლისთვის უნდა დადგეს.

***— ყველა თანხმდება იმაზე, რომ მძიმე 2023 წელი გველოდება. რა მოლოდინი გაქვთ თქვენ? მივიღებთ კანდიდატის სტატუსს? მით უმეტეს, „ოცნების“ ამ პოზიციის ფონზე?***

— სერიოზული რისკები არსებობს, რომ ჩვენმა ქვეყანამ მართლაც ვერ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და საბოლოო ჯამში, სრულიად ჩამოვცილდეთ მოლდოვას და უკრაინის დუეტს. საქართველო კი დარჩეს ამ სამხრეთ კავკასიურ კლასტერში, სანამ თვითონ არ გაერკვევა რა უნდა. ეს კი მიგვიყვანს ძალიან ნეგატიურ შედეგამდე. რაც შეეხება 2023-ს, 2022 წელი იყო ძალიან მძიმე და ჩემი აზრით, 2023-იც იქნება ძალიან მძიმე. იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ საკუთარ ზნეს და ჩვეულებას არ შეიცვლის. მათ შესათავაზებელიც აღარაფერი აქვთ, ვერავის ვერ ხვდებიან, ნორმალურს ხელს ვეღარავის ართმევენ. აღარავინ სერიოზულად არ განიხილავს ამ ადამიანებს, იმიტომ, რომ მათ საკუთარი სიტყვა გააუფასურეს და ნულის ფასი გახადეს. ამიტომაც 2023 წელს გვექნება ის მასკარადი, რომლის შეთავაზებაც უკვე დაიწყეს! მე მაინც არ ვარ ნეგატიურად განწყობილი 2024 წლისადმი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოპოზიცია ყოველდღიურ რეჟიმში იზიანებს საკუთარ თავს და საკუთარ ფეხში სროლით არის დაკავებული. მე მაინც მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობა მიიღებს გონიერ გადაწყვეტილებას.

# საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მოქმედი უვიზო მიმოსვლა კიდევ უფრო გამარტივდა

## ირაკლი ღარიბაშვილი ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.

პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის მეთაურის სომხეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და რეგიონული მნიშვნელობის საკითხები მიმოიხილეს.

ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის როლს, რომელიც მნიშვნელოვანი პლატფორმაა ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირების გასაძლიერებლად. აღინიშნა, რომ ეკონომიკურ კომისიას პრემიერ-მინისტრები ხელმძღვანელობენ, რაც საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის მაღალი დონის მაჩვენებელია.

საუბარი შეეხო რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და გამოწვევებს. პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა, კვლავაც შეასრულოს მეზობელ ქვეყნებს შორის შუამავლის როლი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის განცხადებები საქართველო-სომხეთის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომაზე.

**ამ სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:**

დიდი მადლობა ბატონო პრემიერ-მინისტრო, მივესალმები თქვენს მთავრობას, კომისიის წევრებს. დიდი პატივია ჩემთვის, ვიმყოფებოდე ერევანში და ჩემს კოლეგასთან, მეგობართან ერთად ვუხელმძღვანელო ეკონომიკური კომისიის მე-12 სხდომას. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისია მნიშვნელოვანი პლატფორმაა ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო და კულტურული კავშირების გაძლიერებისთვის. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლობა და ძმობა გვაქვს და ჩვენი დღევანდელი სხდომაც, დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური პროგრესის, ინოვაციების დანერგვისა და წინსვლის კუთხით. ამ ყველაფრის მიღწევა კი მხოლოდ მშვიდობისა და რეგიონული სტაბილურობის პირობებშია შესაძლებელი.

ჩვენ საკმაოდ პოზიტიური დინამიკა გვაქვს მთავრობებს შორის. მინდა აღვნიშნო სიამოვნებით, რომ იანვარ-ნოემბრის პერიოდში, გასულ წელს, სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 70%-ით დაახლოებით გასულ წელს და მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც მართლაც მისასალმებელი შედეგია და სომხეთი საქართველოსთვის გახდა მე-6 სავაჭრო პარტნიორი, ტოპ ათეულში მე-6 სავაჭრო პოზიცია დაიკავა სომხეთმა, რაც ჩვენ ძალიან გვახარებს.

ამას გარდა მინდა ვთქვა, რომ ყველა მიმართულებით ჩვენ გვაქვს პოზიტიური დინამიკა, ზრდა, იქნება ეს ტურიზმი, გადაზიდვები, ტვირთბრუნვა, ყველა მიმართულებით არის გაზრდილი აღნიშნული მონაცემები.

ჩვენი ხელისუფლება და ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, დაინტერესებულები ვართ, რომ რეგიონში იყოს გრძელვადიანი მშვიდობა. ამ მიზნით, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვაქვს ინიციატივა მშვიდობიანი სამეზობლო პლატფორმის ჩამოყალიბების შესახებ და, რა თქმა უნდა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული ფორმატი არ ჩაანაცვლებს სხვა ფორმატებს და სხვა ინიციატივებს. პირიქით,



ვფიქრობ, ეს დაეხმარება, კიდევ უფრო გააძლიერებს შესაძლებლობებს, რომ რეგიონში დამყარდეს გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილურობა ვინაიდან კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მშვიდობის და სტაბილურობის გარეშე შეუძლებელია მივაღწიოთ ძლიერ, გრძელვადიან ეკონომიკურ აღმასვლას და კეთილდღეობას ჩვენი ხალხების. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო ორივე ქვეყნის კომისიის წევრებს, ძალიან ნაყოფიერი სამუშაო ჩატარდა ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ, კიდევ ერთხელ მინდა, მოგესალმოთ ყველას გულით, მოგილოცოთ ახალი წელი და შობა, გისურვოთ წარმატება, ჩვენს მეგობარ სომეხ ხალხს ვუსურვო კეთილდღეობა, დიდი მადლობა.

**სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი:**

— პრემიერ-მინისტრო, პატივცემულო დამსწრეებო, მოხარული ვარ, ერევანში მივიღო ჩემი კოლეგა ირაკლი ღარიბაშვილი და მისი დელეგაცია, სომხეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს მე-12 სხდომაში მონაწილეობის მისალებად. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მნიშვნელობაზე საუბრობს ის, რომ პრემიერები თავმჯდომარეობენ დღევანდელ სხდომას.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 2019 წლიდან დღემდე უკვე სამი მთავრობათაშორისი სხდომა ჩატარდა, რაც ჩვენს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას ხელს შეუწყობს. ორივე მხარემ შევასრულეთ ჩვენ მიერ დადებული ყველა პირობა. დღევანდელი დღის წესრიგი ძალიან ფართოა და მოიცავს სხვადასხვა სფეროებს, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ტექნოლოგიები, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და სხვა სფეროები.

დარწმუნებული ვარ, რომ სხდომის ფარგლებში მიღებული შეთანხმებები სომხურ-ქართულ ურთიერთობებს ახალ შინაარსს შესძენენ. ბატონ პრემიერთან განვიხილავთ უსაფრთხოების და რეგიონულ საკითხებს. მსგავს საკითხებში არის ურთიერთგაგება, რაც განპირობებულია ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობებით. ნება მიბოძეთ, წარმატება ვუსურვო ყველა შეთანხმების შესრულებას და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ურთიერთობებს მაღალ დონეზე ავიყვანთ, გავაღრმავებთ, რისთვისაც საჭიროა ყოველდღიური მზრუნველობა.

მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მოქმედი უვიზო მიმოსვლა კიდევ უფრო გამარტივდა და ამიერიდან მოქალაქეები საზღვარს ბიომეტრიული პირადობის მოწმობებით გადაკვეთენ. ხელი მოეწერა აგრეთვე ორ ქვეყანას შორის ვაჭრობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე მთავრობათაშორისი კომისიის მე-12 სხდომის ოქმს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მერაბიშვილი ახლა ხაბეიშვილის „ხერხემალია“

## რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის რუსულ ინტერესებზე ასხამდა წყალს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, ახალი ფარული ვიდეო ჩანაწერი გამოქვეყნდა, ამჯერად მთავარი ფიგურანტი გიული ალასანიაა. როგორ ფიქრობთ, ნაციონალურ მოძრაობაში შიდა ბრძოლები, რაც უფრო მოახლოვდება თავმჯდომარის არჩევნები, კიდევ უფრო გამწვავდება?***

– მიუხედავად იმისა, რომ ეს ფარული ვიდეო ჩანაწერი ბევრმა აღიქვა არჩევნების წინ გაშლილ ბრძოლის მორიგ რაუნდად, მაინც გაუგებარია, რატომ აწყობდათ ასეთი ჩანაწერის გამოქვეყნება. რადგან ამ ჩანაწერში ჩანს, რომ რუსეთის ფაქტორი არ არის უმნიშვნელო. მეტიც, ირკვევა, რომ მნიშვნელოვანია. ამიტომ მიკვირს, თუ ნიკა მელიას მომხრეების მიერ არის ჩანაწერი გავრცელებული, მაშინ მელიას რად უნდა იმ პარტიის თავმჯდომარეობა, რომელიც რუსეთის ინტერესებზე ასხამს წყალს, გნებავთ, ნებით თუ უნებლიეთ.

რა გამოდის, რომ რუსულ ინტერესებს ატარებენ?! ამ ჩანაწერის მიხედვით ისმის კითხვა, პარტია რუსულ ინტერესებს ატარებდა?! მე, როგორც მოქალაქეს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს დიდი ხანია ყურადღებას ვაქცევ, ეს ამბავი საერთოდ არ გამკვირვებია.

ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის რუსულ ინტერესებზე ასხამდა წყალს, რაც შეეხება კავშირი იყო თუ არა, ცხადია, ამას მე ვერ დავადასტურებ, მაგრამ აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთს რაღაც არ მოსწონს და ვიღაცას მხარს არ უჭერს ან პირიქით, ეს ახალი ამბავი არ არის იმ პარტიაში. უბრალოდ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ შეიძლება უნდოდეს ასეთი დისკრედიტაციის ფონზე მელიას ამ პარტიის თავმჯდომარეობა.

***– ამ ვიდეო ჩანაწერის ავთენტურობა დადგენილი არ არის და გიული ალასანია უარყოფს მისგან ასეთ საუბარს. თუმცა, ის უკრაინაში ჩასვლას ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილი გადაერწმუნებინა.***

– დიახ, ჩანაწერის ავთენტურობა დადგენილი არ არის. თუმცა, ფაქტი ერთია, ასეთი ჩანაწერის გამოგდება ერთმნიშვნელოვნად ურტყამს პარტიას და ვის ინტერესებშია ეს. ძალიან მკაფიო და აშკარაა, რომ ამით პარტიის დისკრედიტაცია მოხდა. ამ ჩანაწერმა პარტია დიდი დარტყმის ქვეშ დააყენა.

***– ბატონო რამაზ, ნუგზარ წიკლაურმა ვანო მერაბიშვილს მოუწოდა, „ფარდის მიღმიდან“ გამოვიდეს და პოლიტიკურ არენაზე ღიად გამოჩნდეს. შეიძლება თუ არა ვანო მერაბიშვილს მართლაც ჰქონდეს პოლიტიკური ამბიცია და ამის შესახებ ღიად განაცხადოს?***



– არ გამოვრიცხავ, რომ ვანო მერაბიშვილს მართლაც ჰქონდეს პოლიტიკური ამბიციები, მაგრამ ეს ამბიციები არ არის კავშირში პირადად მასთან, რომ მას სურს „პირველი კაცი“ იყოს. ასეთი ამბიცია მას არასდროს არ ჰქონია, მაშინაც კი, როდესაც სააკაშვილთან იყო. მერაბიშვილი ყოველთვის იყო ხერხემალი და არა თავი – ფიგურალურად რომ ვთქვათ.

***– გამოდის, ვიღაცას უსუფთავებს გზას?***

– გამოდის, ახლაც ვიღაცის „ხერხემალია“. ამიტომ მეეჭვება, რომ ღიად გამოვიდეს და პოლიტიკური განაცხადი გააკეთოს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მერაბიშვილმა ძალიან კარგად იცის, რა რეიტინგი აქვს მას ხალხში. როგორი არის მის მიმართ დამოკიდებულება.

საქართველოში პოლიტიკაში რომ მოხვიდე, ძალიან უნდა იყო მიღებული. დადებითი განწყობა უნდა გქონდეს ხალხში, რომელიც პოტენციური ამომრჩეველია. მერაბიშვილმა იცის, რომ ის მიუღებელია ხალხისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს არ არის მისთვის გამოცანა.

მერაბიშვილი მიუღებელი არის სააკაშვილის გუნდისთვისაც. სააკაშვილის მხარდამჭერებისთვისაც. ნაციონალური მოძრაობა დღეს სააკაშვილის მხარდამჭერებზე დგას და სხვა არაფერზე. ეს ცალსახად ასეა. ესეც ახალი ამბავი არ არის მერაბიშვილისთვის. ამიტომ გამორიცხულია, ის პირველობისთვის იბრძოდეს. ის სხვისი პირველობისთვის იბრძვის.

***– ვინ არის ეს სხვა?***

– დღეს ეს სხვა ხაბეიშვილია, რომელიც ძალიან თამამად შედის პირველი პირის როლში და ითხოვს კიდეც, ის ასეთად მიიღონ და აღიარონ. რა იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს აშკარად ჩანს.

ერთი სიტყვით, დღეს მერაბიშვილი უფრო სხვის თამაშს თამაშობს, ვიდრე საკუთარს. ვიღაცისთვის აგებს ხიდს პოლიტიკაში. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის არჩევნები ბევრ რამეს გამოკვეთს.

# „მერიის პასუხისმგებლობაა, მოყინული გზების გამო ავარიები რომ ხდება“

## ნიკა შენგელია: „გზებზე მარილის დაყრა, ეს 70-იანი წლების გადმონაშთია, არსებობს სპეციალური სითხეები და ის უნდა მოასხან“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ნიკა შენგელია პასუხობს.**

***– ბატონო ნიკა, ბოლო პერიოდის ეკონომიკური პროცესები შევაფასოთ, თუმცა მინდა, რომ დღეს არსებული ვითარების შეფასებით დავიწყოთ. თბილისში რამდენიმე დღეა უხვი ნალექია თოვლის სახით, მოყინული გზები და საზოგადოება სერიოზულ შეშფოთებას და საყვედურს გამოთქვამს მერიის და მისი სამსახურების მისამართით. ეს პროგნოზი მათთვის ხომ ადრევე ცნობილი იყო, რატომ არ მოხდა სათანადოდ მომზადება და ზომების მიღება? ეს ხომ ელემენტარული და მარტივად მოსაგვარებელი საკითხებია? რატომ არაფერი არ გამოსდით?***

– დიახ, ნამდვილად ასეა. რაც შეეხება იმას, რამდენად მომზადებული შეხვდა მერია ამ თოვლიანობას, პრობლემები სახეზეა. ფაქტიურად გარე უბნებში ტრანსპორტი შეფერხებით მუშაობს. ზოგან კი საერთოდ ვერ ადიან. რის ბრალი ეს და ეს არაკომპეტენტურობის ბრალია. ხომ იციან, რომ ზამთარში მარილიც უნდა იყოს მომარაგებული და შესაბამისი რაოდენობით დაიყაროს. ასევე შესაბამისი ტექნიკაც არ



არის, ზოგან ისევ ხელით ყრიან მარილს. ევროპაში მარილს ასე არ ყრიან. სპეციალური ხსნარია, გახსნილია ის ხსნარი და სითხეს ასხამენ და ის უფრო შედეგიანია. არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ეს არის არაკომპეტენტურობა და არცოდნა. მათი უპასუხისმგებლობის გამო კი, ამდენი უბედურება და ტრაგედია ხდება. სამი მანქანა სადღაც გადავარდა, ერთი მანქანა დაიწვა, უამრავი დაზიანება. ცენტრალურ და ნომერ პირველი კატეგორიის გზაზეც, წუხელ უამრავი ავარია იყო. ეს არ უნდა ხდებოდეს, 21-ე საუკუნეა! არსებობს სპეციალური სითხეები და ის უნდა მოასხან. მარილის დაყრა, ეს არის 70-იანი წლების გადმონაშთი და ისევ ამ მეთოდზე არიან.

***– არის თუ არა ეს მერის პასუხისმგებლობა?***

– რა თქმა უნდა, მერიის სამსახურებს ევალება ეს ყველაფერი და მერის პასუხისმგებლობაა, აბა ვისი პასუხისმგებლობა იქნება?!

***– დროულად არ იყო თადარიგი დაჭერილი?***

– რა თქმა უნდა, არ იყო. გარდა ამისა, 11 საათზე გადიან სამუშაოდ, ასე როგორ შეიძლება, როცა ხალხი 9 საათიდან იწყებს მუშაობას და დილის 8 საათიდან ტრანსპორტი დატვირთულია. 11 საათზე რომ მარილს დაყრი, იმან როდის უნდა იმუშაოს?!

***– 2023 წელი დაიწყო, როგორ აფასებთ ეკონომიკურ ვითარებას? რა მოლოდინი გაქვთ და რა პროგნოზი?***

– 2023 წელს ჩვენი ეკონომიკა წავა იმ ინერციით, რა ინერციითაც იყო აღებული კურსი. ანუ გათვლა აქვთ, რომ ისევ იქნება ეს შემოდინებები ფულადი ნაკადების. 10 მილიონ ლარზე მეტია უკვე შემოსული. ჩვენი მშპ-ს 10%-ზე მეტია.

***– ანუ ისევ რუსეთს და რუსეთის ეკონომიკას დაეკიდებიან?***

– რაც შეეხება რუსეთის ეკონომიკას, რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებულება 2022 წელს გაიზარდა მინიმუმ 2,7 მეტად. რა თქმა უნდა, ეს კურსი იქნება შენარჩუნებული. სხვა პერსპექტივას მე ვერ ვხედავ. მე რომ ვხედავდე, საქართველოს მთავრობა აჩქარებს თავის პარტნიორებს, რომ მოქმედებაში მოვიდეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, ამას ვერ ვხედავ ,რომ ეს კონტრაქტები მოქმედებაში მოვიდეს დასავლელ პარტნიორებთან. ამიტომ რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება შენარჩუნდება.

***– ლარის კურსის სტაბილურობასაც ასე თუ ისე ინარჩუნებენ. რამდენ ხანს გასტანს ეს?***

– რაც შეეხება ლარის კურსს, სტაბილურობა იქნება შენარჩუნებული მინიმუმ ერთი კვარტალი. ვნახოთ, რა მოხდება შემდეგ. ლარის კურსის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი და შეიძლება ითქვას, ერთადერთიც, გახლავთ ის, რომ გვაქვს ძალიან მაღალი ტრანზაქციები როგორც ემიგრანტებიდან, ასევე რუსეთის მოქალაქეების მხრიდან, ვინც საქართველოში იმყოფება. არსებული კურსი 2,65-2,70 შენარჩუნდება პირველი კვარტალი.

***– ინფლაცია კვლავაც მაღალია და მაღალ ფასებსაც ვინარჩუნებთ პროდუქტებზე.***

– რაც შეეხება ინფლაციას, იმაზე მაღალია, რა ციფრიც ბოლოს გამოაქვეყნეს 9,8% ინფლაციის მაჩვენებელი. მთავრობას უნდა, რომ აჩვენოს, თითქოს ინფლაციის დონემ დაიწია და ეს ციფრი შეალამაზეს. ინფლაციის მაჩვენებელი ცოტას დაიკლებს 2023 წელს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შესაბამისად ფასებიც დაიკლებს. უბრალოდ, მოსახლეობას აჩვევენ მაღალ ფასებს.

# „პოდოლიაკის განცხადებები ქართულ-უკრაინული ურთიერთობების კონტექსტიდან ამოვარდნილია“

## დათო ლორთქიფანიძე: „ჩვენ რუსეთთან პირდაპირ ომში ვართ. ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია. ის სახელმწიფოები, რომლებიც უკრაინას ეხმარებიან, რუსეთთან ამ ტიპის დაპირისპირებაში არ იმყოფებიან. ეს არის ძალიან სერიოზული ფუნდამენტური სხვაობა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**

***– ბატონო დათო, უკრაინის ადმინისტრაციის უფროსი პოდოლიაკი ქართველ ხალხს არჩევანს უწუნებს, ამბობს, რომ ქართველმა ხალხმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა. თქვენ რას ფიქრობთ პოდოლიაკის განცხადებებზე?***

– პირველ რიგში, მინდა თქვენს გაზეთს, მკითხველს შობა-ახალი წელი მივულოცო და მათ ოჯახებს სიუხვე და ჯანმრთელობა ვუსურვო.

სიმართლე გითხრათ, პოდოლიაკის განცხადებაზე თან გაკვირვებული ვარ, თან ნაწყენი. გული მტკივა, რომ ჩვენი მოძმე ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი ასეთ განცხადებას აკეთებს. ამ განცხადებებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო.

პოდოლიაკის განცხადება აბსოლუტურად მიუღებელია. ქართველი ხალხის არჩევანის განსჯის უფლება მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ხალხს აქვს. პოდოლიაკს უფლება აქვს, არ მოსწონდეს ხელისუფლება, მოსწონდეს ოპოზიცია. ეს პოდოლიაკის აზრია, მაგრამ იმ პირობებში, რა პირობებშიც უკრაინა და მთელი ცივილიზებული სამყარო იმყოფება, არა მგონია, პოდოლიაკს ასეთი განცხადებების დრო უნდა ჰქონდეს.

პოდოლიაკის ეს განცხადება არ მომწონს და ვგმობ. ჩემთვის, ასეთი განცხადებები, როგორც პოლიტიკოსისთვის, როგორც ქართველისთვის, მიუღებელია, მით უმეტეს, იმ ხელისუფლების მიმართ, რომელშიც დაფუძნების დღიდან ვიყავი და ამასთან დაკავშირებით დღესაც ჩემი პოზიცია მაქვს.

***– უბრალოდ, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლის ასეთი განცხადება გასაკვირია.***

– გასაკვირი კი არა, მიუღებელია. არა მგონია, პოლიტიკოსმა, რომელიც თავისი ბეგრაუნდის პატივისმცემელი და დამფასებელია, სხვა ქვეყნის, მით უფრო მოძმე ქვეყნის ხელისუფლების მიმართ, ასეთი განცხადებები გააკეთოს. იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც უკრაინელი ლტოლვილები მიიღო და უდიდესი მხარდაჭერით გამოხატა.

ბოლოს და ბოლოს თვეების განმავლობაში საუკეთესო პირობებში, სასტუმროებში საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფდა, უკრაინული სკოლები გავხსენით. არ მინდა, მარიალიზებამდე დავიყვანო, მაგრამ ჰუმანიტარული ტვირთის ოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ.

ბოლოს საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინელი ხალხის დასახმარებლად რამდენიმე მილიონის გენერატორები გაგზავნა. ამიტომ პოდოლიაკის ასეთი დამოკიდებულება გაუგებარია.

***– საინტერესოა, პოდოლიაკს ინფორმაცია ვისგან აქვს. საქართველოს ხელისუფლება რატომ არ ცდილობს, უკრაინის ხელისუფლებასთან მუდმივ კავშირზე იყოს? პოდოლიაკის განცხადებებში, რეალურად, ჩვენი ოპოზიციის აზრებს ვკითხულობთ. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

– დიახ. ძალიან სამწუხარო და გულსატკენია, რომ პოდოლიაკი და მისი თანაგუნდელები ქართული ოპოზიციის მესიჯბოქსებს ატრიალებენ. ხელისუფლების წარმომადგენლებს უკრაინის ხელისუფლებასთან კომუნიკაცია აქვთ თუ არა, ღრმად ვარ დარწმუნებული, 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების ეპოქაში, ინფორმაციის მიღების პრობლემა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ყველა პლატფორმაზე, გაეროში, ჰააგაში თუ სხვა პლატფორმაზე, ყველგან საქართველო უკრაინის სახელმწიფოს გვერდით იდგა.

დიდი ხანია პოლიტიკაში ვარ და ვიცი, ეს არ ხდება ხელისუფლებების კომუნიკაციის გარეშე. საელჩო იქნება გამტარი, დიპლომატიური კორპუსი თუ უშუალოდ კავშირი იქნება აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის. მთავარია, ამის გარეშე მხარდაჭერა ვერ მოხდება.



პოდოლიაკის განცხადებები ქართულ-უკრაინული ურთიერთობების კონტექსტიდან ამოვარდნილია. დროა, მსგავსი განცხადებები დასრულდეს და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მოძმე უკრაინელი ხალხის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი საქართველოსთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებას.

***– უკრაინიდან ძირითადად იმიტომ გვსაყ-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რა ფეიკის გავრცელებას არ ეშვება რუსეთის თავდაცვის სამინისტრო?

## „თუ უკრაინა 300-კილომეტრიანი მოქმედების რაკეტებს მიიღებს, უკრაინა გაანადგურებს მისთვის საფრთხის შემცველ რუსულ ძალებსა და ტექნიკას ამ რადიუსში“

მარიამ მჭედლიშვილი



რუსული დეზინფორმაცია და რუსული პროპაგანდა რუსეთის გარდა, საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც უკრაინაში ომამდეც აპრობირებული იყო. ომის შემდეგ გახშირდა საომარი ფეიკები. ერთ-ერთი მათგანი – კრამატორსკში „შურისძიების ოპერაციის“ თაობაზე დასავლური მედიის წყალობით მაშინვე გაბათილდა. თუმცა, ის ისევ ინერგება რუსეთში. ამ საკითხზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა უკრაინელი ყოფილი სამხედრო, მე-8 მოწვევის დეპუტატი, ბორისლავ ბერეზა.

**ბორისლავ ბერეზა:**

– როცა რუსებს არ შეუძლიათ გამარჯვებების მოპოვება ბრძოლის ველზე, ისინი ვირტუალურს იგონებენ. ისინი ამ დროს მოქმედებენ ძველი პრინციპით: „როცა გერბიანი ქაღალდი არ აქვთ, მაშინ უბრალოზე წერენ“. მათ ტრადიციულ უთაურობას ემატება კრეატივის არარსებობა. ამის გამო რუსები იგონებენ ფეიკებს. მაგალითად, იმის შესახებ, რომ მოხვდნენ უკრაინელი სამხედროებით სავსე საერთო საცხოვრებელში და ჩაატარეს ოპერაცია. მათ ვერ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ უკრაინაში უამრავი ჟურნალისტია. ჟურნალისტები სწრაფად რეაგირებენ. მას შემდეგ, რაც რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ განადგურებულია 2 საერთო საცხოვრებელი, იქ მაშინვე ჩავიდნენ დასავლელი ჟურნალისტები „როიტერის“ სააგენტოდან. ფეიკი ერთმნიშვნელოვნად დაინგრა. ის აგრძელებს სიცოცხლეს რუსეთის საინფორმაციო სივრცეში, სადაც მას კვებავენ რუსი პროპაგანდისტები და მედია. დამირეკეს დასავლური მედიის საშუალებებმა. რამდენიმე არხს ინტერვიუ მივეცი. არც ერთ მათგანს არ უთხოვია ამის უარყოფა, მხოლოდ შეფასებას მთხოვდნენ. უარყოფა მათ უკვე აღარ სჭირდებოდათ, დასავლეთში ყველამ უკვე ყველაფერი იცოდა.

რუსეთში საკუთარი ატმოსფეროა. იქ იჯერებენ, თუ გავრცელდება ინფორმაცია იმაზე, რომ ერთი გასროლით შესაძლებელია 44 „ჰაიმარსის“ განადგურება, ან იმას, რომ ერთად განადგურდა 600 უკრაინელი მებრძოლი. რუსები გააფთრდნენ იმის გამო, რომ მაკეევკაში დაიღუპა 600 მობილიზებული. იმავდროულად, რუსები აბსოლუტურად ინდიფერენტული არიან იმისადმი, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები ყოველდღიურად ანადგურებენ 500-700 რუსს. ასეთი დამოკიდებულება არ მესმის – ვიღაცას იცოდებენ, ვიღაცას – არა.

უკრაინამ 2014 წლის შემდეგ მიიღო შესანიშნავი საბრძოლო გამოცდილება. ამის შედეგად უკრაინა ზემოთ ხსენებულ შენობებში საბრძოლო ნაწილებს აღარ ათავსებს, რუსეთი კი განაგრძობს ამას.

***– თქვენი აზრით, ეს „მაკეევკები“ გაგრძელდება?***

– რასაკვირველია. მას შემდეგ კიდევ ერთი ფაქტი მოხდა. ამ შემთხვევაში ნაკლები რუსი სამხედრო იყო განთავსებული შენობაში – „ჰაიმარსმა“ ერთი გასროლის შედეგად ოკუპანტების რიცხვი 30-ით შემცირდა. ეს გაგრძელდება. რუსები გამოცდილებას ვერ ითვისებენ, შეცდომებზე ვერ სწავლობენ. ისინი ვირის სიჯიუტით ხტებიან ძველ ფოცხზე. ფოცხი მათ ისევ ურტყამს და ხოცავს.

***– ამჟამად უკრაინა აშშ-ს სთხოვს რაკეტებს, რომელთა გამოყენების სიშორე 300 კილომეტრია. თუ თქვენ (უკრაინა) მიიღებთ ამ იარაღს, ელის თუ არა რუსეთს „მაკეევკები“ ყირიმსა და ბელგოროდში?***

– უკრაინა გაანადგურებს რუსეთის ძალასა და სამხედრო ტექნიკას, რომლებიც უქმნის მას საფრთხეს. შესაბამისად, დარტყმის ქვეშ იქნება ყველაფერი 300-კილომეტრიან რადიუსში: საბრძოლო ნაწილები, საწყობები, გადასასვლელები და ა. შ. ხაზს ვუსვამ – ყველაფერი, რასაც შეუძლია საფრთხე შეგვიქმნას, დაექვემდებარება იერიშს. ასეთი რაკეტები ჩვენთვის აუცილებელია. მოგვცემენ თუ არა ამ შეიარაღებას, ეს საკითხი არ დგას. კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ როდის მოხდება ეს.

# რუსეთის კლანებში აურზაურია

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინაში რუსეთის შეჭრამ რუსეთის კლანურ სისტემაში არევ-დარევა და გარკვეული ცვლილებები მოიტანა. ზოგიერთი გავლენიანი ადამიანი საზღვარგარეთ წავიდა (მაგალითად, ჩუბაისი), ზოგი ჩრდილში მოექცა, დასუსტდა ან გაკოტრდა, ზოგი კი დაწინაურდა. ბოლო თვეებში აგრესორ ქვეყანაში ფავორიტებად წარმოჩნდნენ ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი და კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ ხელმძღვანელი ევგენი პრიგოჟინი, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს თავდაცვის სამინისტროს, ხანდახან მონაწილეობდნენ საკადრო გადაწყვეტილებებშიც. ორივე მათგანს მოიაზრებდნენ რუსეთის პოტენციურ შესაძლო დროებით მმართველად პუტინის შემდეგ.

ანალიტიკოსების დასკვნით, ამჟამად პრიგოჟინ-პუტინის კლანი ჩაჩოჩებულია. საქართველოსთვის და ზოგადად ცივილიზებული სამყაროსთვის სასიკეთო კლანი რუსეთში ჯერ არ იკვეთება.

უკრაინელი პოლიტტექნოლოგი იაროსლავ მაკიტრა კადიროვ-პრიგოჟინის კლანის კუთხეში მიყენების დასტურად ასახელებს გენერალ ალექსანდრ ლაპინის დაბრუნებას. ლაპინს ბრალად ედებოდა აგრესორი რუსეთის საოკუპაციო ჯარის ფიასკო ხარკოვში. ამ საბაბით ის გაათავისუფლეს. მაშინდელი ინფორმაციით, ამაში კადიროვ-პრიგოჟინის ხელი ერია.

**იაროსლავ მაკიტრა:**

– გენერალი ლაპინი შოიგუ-გერასიმოვის ჯგუფის კაცია. მისი ახლანდელი დანიშვნა არა ფრონტის თანამდებობაზე, მაგრამ საკმაოდ შემოსავლიან ადგილზე, რაც მას საშუალებას აძლევს, თავი ცუდად არ იგრძნოს კრემლის რეალიებში, მოწმობს, რომ შოიგუ-გერასიმოვის დაჯგუფება ფარ-ხმალს არ ყრის და ინარჩუნებს სერიოზულ გავლენას. თუ ადრე იყო საუბარი იმაზე, რომ პრიგოჟინსა და კადიროვს შეუძლიათ შოიგუს გაწევა, ახლა ამაზე ლაპარაკი უნაყოფოა. ლაპინის დაბრუნება ცხადყოფს, რომ შოიგუ ინარჩუნებს თავის გავლენას, ხოლო კადიროვსა და პრიგოჟინს არც ისე კარგად აქვთ საქმე. რუსეთის სახელისუფლებო მწვერვალი, ესაა გარკვეული კონგლომერატი, რომელსაც შეადგენს ბიზნესი, ბანდიტები და სპეცსამსახურები. ომამდე ისინი ერთიან მექანიზმად ფუნქციონირებდნენ. ომის, დამარცხებების ფონზე, ამ ჯგუფებს შორის კონფრონტაცია გარეთ გამოვიდა. ფრონტზე სიტუაციის გაუარესება მოახდენს ამ კონფლიქტების დეტონირებას.

რუსეთის კლანების ახლანდელ მდგომარეობაზე მსჯელობს გამომძიებელი ჟურნალისტი რომან ანინი.

**რომან ანინი:**

– პუტინის გარშემო არსებული კლანები ჰგვანან ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს. ზოგ მათგანს საკუთარი არმია ჰყავს. მაგალითად, ევგენი პრიგოჟინსა და „როსგვარდიის“ მეთაურს, ვიქტორ ზოლოტოვს; ზოგს – ძალოვანი ქვედანაყოფები. მაგალითად, უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელს, ნიკოლაი პატრუშევს. ყოველ კლანს აქვს თავისი ფინანსური რესურსები-ბანკები, სახელმწიფო კორპორაციები, მსხვილი კომპანიები. ზოგიერთი კლანი რეგიონს ფლობს. მაგალითად, რამზან კადიროვი. არც ერთი მათგანი არ ემორჩილება კანონს.

ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ კლანებს შორის დაპირისპირება ცხელ სტადიაში გადავა. შოიგუსა და მედვედევს (უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე) ავტორი გავლენიან ფავორიტებად არ მიიჩნევს. ანინი პუტინის ძველ მეგობარს, მილიარდერ იური კოვალჩუკს ქვეყანაში მეორე (პუტინის შემდეგ) გავლენიან ადამიანად ასახელებს. ამბობენ, რომ კოვალჩუკი დასავლურ სანქციებს დიდად არ დაუზიანებია.

მისივე თქმით, „სისხლისმსმელების“ კლანს მიეკუთვნებიან კადიროვი, პრიგოჟინი და ზოლოტოვი. მეორე დაჯგუფებაში, მისი პროგნოზით, შევლენ ადამიანები, რომლებსაც ომამდე ჰქონდათ დიდი გავლენა („კოვალჩუკები, პატრუშევები“), იკვეთება ასევე მესამე ჯგუფი, კოალიცია „პატრიოტები“, რომელიც, მისი შეფასებით, გამოხატავს რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესს. ანინი ამ დაჯგუფებებს შორის ძალაუფლებისთვის მწვავე კონფლიქტს მოელის.

# „პოდოლიაკის განცხადებები ქართულ-უკრაინული ურთიერთობების კონტექსტიდან ამოვარდნილია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***ვედურობენ, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლება არა უკრაინის, არამედ რუსეთის მხარესაა. აზრის გამტარი კიდევ ამერიკელი გენერალი, ევროპაში ამერიკული ჯარების ყოფილი სარდალი ჰოჯესი აღმოჩნდა, რომელიც კითხულობს, რატომ უჭერს მხარს საქართველო რუსეთს და არა უკრაინასო. ალბათ, მისი განცხადებები იცით? რატომ არ ხდება ოფიციალურ დონეზე ამ ხალხის ინფორმირება?***

– დარწმუნებული ვარ, მათ ინფორმაციებს აწვდიან. უბრალოდ, ყოფილი ჩინოვნიკები ოპოზიციის მხარდამჭერებად ჩამოყალიბდნენ. ვერც ერთი ქვეყნის ვერც ერთ ხელისუფალს ვერ დამისახელებთ, რომელიც საქართველოს მიმართ ამის მსგავს განცხადებას ან მინიშნებას აკეთებდეს. ასეთი ბუნებაში არ არსებობს.

საუბარი იმაზე, რომ, დავუშვათ, თუ უკრაინას მხარს ღიად დავუჭერთ (მგონი, ჰოჯესი აცხადებდა), რა, ეს ომში ჩართვას ნიშნავსო? უკრაინას მთელი ევროპა და აშშ ეხმარება, რა, ეს იმას ნიშნავს, რუსეთთან ომში არიანო? ამაზე რა პასუხი უნდა მქონდეს.

რა თქმა უნდა, ეს ქვეყნები, რომლებიც პოზიციას უკრაინის მხარდასაჭერად და რუსეთის საწინააღმდეგო აფიქსირებენ, არა ფიზიკურ ომში, არამედ პოლიტიკურ ომში არიან. მათ თავიანთი პოზიცია აქვთ, რომლითაც უკრაინას მხარს უჭერენ.

***– ჩვენც ხომ ვართ რუსეთთან პოლიტიკურ ომში ჩაბმული? პოლიტიკურად ჩვენც ვაფიქსირებთ უკრაინის მხარდამჭერ პოზიციას. მეტიც, რეალურადაც ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით.***

– ამ სახელმწიფოებსა და ჩვენ შორის ის სხვაობაა, რომ სადაც ჩვენ ვსაუბრობთ, აქედან 30 კილომეტრში რუსი ოკუპანტის ჯარი დგას. იმ ქვეყნებში კი, რუსული საჯარისო ფორმირებები, სატანკო ნაწილები, სარაკეტო დანადგარები არ დგას. ეს არის სხვაობა.

ჩვენ რუსეთთან პირდაპირ ომში ვართ. ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, ჩვენი ძირძველი ქართული მიწები, რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა (იმედია, ეს დროებითია). ის სახელმწიფოები, რომლებიც უკრაინას ეხმარებიან, რუსეთთან ამ ტიპის დაპირისპირებაში არ იმყოფებიან. ეს არის ძალიან სერიოზული ფუნდამენტური სხვაობა.

***– მუდმივად გვესმის, რომ საქართველოს პრორუსული ხელისუფლება ჰყავს, ხოლო ოპოზიცია პროდასავლურია. როგორ ჩანს, ეს აზრი ახლახან გავრცელებული ჩანაწერიდან გამომდინარე, სადაც გიული ალასანიას აინტერესებს რუსეთის აზრი სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლაზე? ამაზე რას იტყვით?***

– გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო. ადამიანი, რომელიც გაიზარდა რუსეთის კგბ-ეს გენერლის ოჯახში, რომელიც წინა საუკუნის 80-იან წლებში იყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გაეროში. თვითონ სააკაშვილი მსახურობდა ინსტიტუტში, რომელიც უშიშროების კადრების სამჭედლოა.

ხოშტარიას ქალბატონი, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (გვიმო), ამას წლების განმავლობაში ჰქონდა შენახული „გვიმოს“ კვოტა და თავის შვილს იქ ჩააბარებინა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში აღარ იყო. ჩაებარებინა ევროპაში ან თბილისში ესწავლა, რაღა იმ სასწავლებელში ჩააბარა, რომელიც რუსეთის უშიშროების კადრების სამჭედლო და აგენტურის ქსელია?!

ახლა ეს ადამიანები გაერთიანდნენ და ხელისუფლებას უტევენ. ევროპის ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის, პოლონეთმა რუსეთის იმ უნივერსიტეტის (გვიმო) კურსდამთავრებულები, რომელიც ხოშტარიამ დაამთავრა (100-მდე ადამიანი) დიპლომატიური სამსახურებიდან დაითხოვა.

ეს ადამიანები ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ ხართ პრორუსიო, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. ეს ბრძნული გამონათქვამი, მათ საქციელს და ქმედებას პირდაპირ ზედ აკვდება.

***– ნაცმოძრაობაში ფარული ჩანაწერების ომი დაიწყო. მოგეხსენებათ, ბოლოს გიული ალასანიას ჩანაწერი გამოქვეყნდა, სადაც ჩანს მისი ინტერესი, მიშას დაბრუნებაზე რა აზრი ექნება რუსეთს და არა დასავლეთს, რომ რუსეთს ივანიშვილი აღარ უნდა. რას იტყვით?***

– ქალბატონ ალასანიას განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ მინდა, მაგრამ ამ განცხადებაში ალასანია თვითონვე აკეთებს აქცენტებს იმაზე, რომ რუსეთს ივანიშვილი არ უნდა. მეტს აღარ გავაგრძელებ.

საერთაშორისო

## გენერალ ჰოჯესის საინტერესო პროგნოზი

ცნობილი ამერიკელი გენერალი ჰოჯესი აცხადებს, რომ უკრაინაში ესკალაცია გარდაუვალია. რუსეთში დაიწყება საყოველთაო მობილიზაცია, გაძლიერდება უკრაინის ტოტალური ბომბარდირება. მიზეზი ის საშინელი დანაკარგებია, რასაც რუსეთი უკრაინაში განიცდის.

ამავე დროს ჰოჯესი აცხადებს, რომ დასავლეთის დახმარება საშუალებას მისცემს უკრაინას, უკვე გაზაფხულზე მთელს ფრონტზე კონტრშეტევაზე გადავიდეს.

## ნატომ უკრაინისათვის მძიმე ტექნიკის მიწოდება დაიწყო

ნატოს ქვეყნებმა უკრაინისათვის მძიმე ტექნიკის მიწოდება დაიწყეს. ამის თაობაზე იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პოლონეთი უკრაინას ლეოპარდის ტიპის ტანკებს მიაწვდის. მძიმე ტექნიკით კიევს გერმანიაც დაეხმარება. დიდი ბრიტანეთი უკრაინას უახლესი ტიპის ტანკებით, ლიტვა კი უკრაინელებს საზენტო-სარაკეტო კომპლექსებით მოამარაგებს.

## უკრაინელებმა მოიგერიეს მტრის შეტევები ბახმუტთან, ავდეევკასთან

სოლედარის პარალელურად მთელს დონბასში გააფთრებული ბრძოლებია. უკრაინელებმა მოიგერიეს მტრის შეტევები ბახმუტთან, ავდეევკასთან და ა.შ. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. ლუგანსჩინაზე გრძელდება შეტაკებები სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. უკრაინელებმა დაამყარეს რა კონტროლი სტრატეგიული დანიშნულების ტრასებზე, ალყაში მოაქციეს კრემენოე და სვატოვო. რუსებმა სცადეს ალყა გაერღვიათ სტელმახოვკასთან. მათ კონტრშეტევის განხორციელება სცადეს, მაგრამ ეს ჩაიშალა.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, იქ ბრძოლები პოზიციურ ხასიათს ატარებენ. რუსმა ოკუპანტებმა კვლავ დაბომბეს ხერსონი, ზაპოროჟიე, აგრეთვე გულაი-პოლე (ზაპოროჟიეს ოლქი). მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

## რუსების დანაკარგები უკრაინაში

განუწყვეტელმა შეტევებმა რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგის ზრდა გამოიწვია. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.094, არტილერია – 2.078, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები – 217, თვითმფრინავები – 285, ვერტმფრენები – 275, ფრთოსანი რაკეტები – 723.

განადგურებულია – 113.290 ოკუპანტი.

## რუსულ საოკუპაციო ძალებს უკრაინაში ახალი სარდალი ჰყავს

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განახორციელა. რუსული საოკუპაციო ძალების სარდალი, გენერალი სუროვიკინი პოსტიდან მოხსნეს. ის რუსეთის გენშტაბის უფროსმა, გენერალმა გერასიმოვმა შეცვალა.

– გერასიმოვმა გენშტაბის უფროსის თანამდებობაც შეინარჩუნა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“. გენერალი სუროვიკინი კი გერასიმოვის მოადგილედ დაინიშნა.

## რამზან კადიროვის ახალი ექსცენტრული განცხადება

ჩეჩნეთის პრორუსული რეჟიმის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი მსოფლიოს გაოცებას განაგრძობს. ასე, მაგალითად, მან განაცხადა, რომ აშშ და ნატო თურმე რუსეთს თავს დაესხნენ.

– მივმართავ პრეზიდენტ პუტინს, რათა სამამულო ომი გამოაცხადოს, – თქვა კადიროვმა.

ბატონ რამზანის აზრით, რუსეთში საყოველთაო მობილიზაცია უნდა გამოცხადდეს.

– სამშობლო საფრთხეშია! სიტუაცია ისეთივეა, როგორც 1941-1944 წლებში იყო! – ბრძანა კადიროვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# Human Rights Watch — გადაუჭრელ პრობლემად დარჩა სამართალდამცავთა დაუსჯელობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის

Human Rights Watch-ის შეფასებით, 2022 წელს გადაუჭრელ პრობლემად დარჩა სამართალდამცავთა დაუსჯელობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის.

ანგარიშში ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს მოვლენებზე, სადაც, მათი შეფასებით, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების არასათანადო გამოძიება მოხდა. ასევე, შეფასებაში საუბარია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებაზე, რასაც ორგანიზაცია „მოულოდნელ გადაწყვეტილებას" უწოდებს.

– გადაუჭრელ პრობლემად დარჩა სამართალდამცავთა დაუსჯელობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის. 2021 წლის დეკემბერში პარლამენტმა დაჩქარებული წესით გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც დამოუკიდებლად იძიებდა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს. მის ნაცვლად ორი უწყება შეიქმნა, რომელთაგან ერთს ევალება სამართალდამცავთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევების მოკვლევა, ხოლო მეორეს – პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მას შემდეგ მიიღო, რაც სახელმწიფო ინსპექტორმა პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევის გამოძიება დაიწყო. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, დუნია მიატოვიჩმა, პარლამენტს მოუწოდა, არ მიეღო ეს კანონპროექტი, რადგან ის არ ყოფილა „სათანადოდ განხილული დაინტერესებულ მხარეებთან [და] ასუსტებდა დამოუკიდებლად მოქმედ ინსტიტუტს".

ოქტომბრის მდგომარეობით, სახალხო დამცველის აპარატში 70 საჩივარი იყო შესული ციხის პერსონალის და პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე. მათგან 61-ს შესაბამისი უწყებები იძიებდა. სახალხო დამცველის აპარატმა თხოვნით მიმართა საგამოძიებო უწყებას, გამოძიება დაეწყო დანარჩენ საჩივრებზე. ამ ანგარიშის მომზადების დროისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთ მათგანზე არ დაწყებულა.

იანვარში ადგილობრივი ტელეარხებით გადაიცა ვიდეო, რომელშიც ჩანდა, როგორ სცემდა მეტროში პოლიციელი 17 წლის სმენადაქვეითებულ ბიჭს. მეორე პოლიციელს, რომელიც იქვე იდგა, არ უცდია მისი შეჩერება. შემთხვევა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოიძია და ივლისში სასამართლომ მოძალადე პოლიციელს 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

მაისში ახალგაზრდული საპროტესტო მოძრაობის „სირცხვილია"-ს ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი მჟავანაძემ, განაცხადა, რომ თბილისის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ის ჯარიმის დადგენილების წამოსაღებად მივიდა, პოლიციელებმა ბორკილები დაადეს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, რომელიც ძალადობრივ სამოხელეო დანაშაულებს იძიებს, მოკვლევა დაიწყო, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მჟავანაძე დაუმორჩილებლობის გამო დააკავა.

ივნისში პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო საკამათო ცვლილებები კანონში ფარული თვალთვალის და მიყურადების შესახებ. მმართველი პარტიის მიერ ინიცირებული ამ კანონით დასაშვები გახდა ადამიანების უვადო ფარული მოსმენა და თვალთვალი ამ ადამიანების ინფორმირების გარეშე. ეს ნორმა 77 დანაშაულზე ვრცელდება, რომელთა შორისაც ახლა არის ტრეფიკინგი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა და ნარკოდანაშაული.

აგვისტოში ვენეციის კომისიამ, ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანომ კონსტიტუციურ საკითხებში, მოუწოდა ხელისუფლებას, გადახედოს ამ კანონს. კომისიის განცხადებით, „ფარული თვალთვალი გამონაკლის ზომად უნდა განიხილებოდეს" და სახელმწიფოს მხრიდან „ფრთხილ ფორმულირებას და ვიწრო გაგებით ინტერპრეტირებას" საჭიროებს. სექტემბერში პრეზიდენტმა კანონს ვეტო დაადო, მაგრამ მმართველმა პარტიამ ეს ვეტო სექტემბერშივე დაძლია.

სექტემბერში ოპოზიციურმა სატელევიზიო არხმა „ტვ პირველმა" გაჟონილი მასალები



გამოაქვეყნა, სადაც აღწერილია მასშტაბური თვალთვალი ოპოზიციურ პარტიებზე, რომელსაც, სავარაუდოდ, უსაფრთხოების სამსახური მმართველი პარტიის სასარგებლოდ ახორციელებდა. მასალებიდან ჩანს, რომ წამყვან პოლიტიკოსებს უთვალთვალებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სივრცეებში, – ნათქვამია ანგარიშში.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც Human Rights Watch-ის ანგარიშშია საუბარი, საერთაშორისო აქტორებია. ამ კუთხით ყურადღება გამახვილებულია საქართველოსთვის მიცემულ ევრორეკომენდაციებზე და ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ საერთაშორისო გამოხმაურებებზე.

– ივნისში, ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს განაცხადის პასუხად, ევროპულმა საბჭომ მზადყოფნა გამოთქვა, მიანიჭოს საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მას შემდეგ, რაც ის ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ თორმეტ პრიორიტეტს შეასრულებს. ამ პრიორიტეტებს შორისაა პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის დამოუკიდებლობის და ანგარიშვალდებულების გაძლიერება, დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფა, მედიის დამოუკიდებლობისა და პლურალიზმის გარანტირება, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება.

ივნისში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოხატა უკმაყოფილება საქართველოში მედიის თავისუფლების „მნიშვნელოვანი გაუარესების", მათ შორის დაშინების, ძალადობის და „მედიის წარმომადგენლების და მფლობელების წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი გამოძიებების" გამო და დაგმო გვარამიას დაპატიმრება.

ივნისში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოსცა დაკავების ორდერები ომის დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩადენილი იქნა 2008 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის დროს. დაკავების ორდერები გამოიცა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის სამი წევრის მიმართ შემდეგი ბრალდებებით: თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წამება და არაადამიანური მოპყრობა, ადამიანის ღირსების შელახვა, მძევლების აყვანა და უკანონო გადაადგილება. ეჭვმიტანილები ჯერ არ დაუკავებიათ. ფიქრობენ, რომ ისინი ამჟამად სამხრეთ ოსეთის ან რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებიან. 2023 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ვარაუდობს გამოძიების შეკვეცას საქართველოში და ძალისხმევის მიმართვას დაკავების სამი ორდერის აღსრულებაზე.

სექტემბერში გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას, გამოიძიოს ადამიანი უფლებათა დარღვევები და დასაჯოს დამნაშავეები, გააძლიეროს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და დაიცვას ადამიანები სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობისგან.

ივნისში აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოხატეს მხარდაჭერა ქვეყნის დემოკრატიული მისწრაფების მიმართ და, ამავე დროს, „ღრმა შეშფოთება საქართველოს დემოკრატიული ტრაექტორიის გამო".

თებერვალში ვიზიტის შემდეგ დუნია მიატოვიჩმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება და შრომითი და გარემოსდაცვითი უფლებების უკეთ დაცვა" – ნათქვამია ანგარიშში.

# გელა ნიკოლაიშვილი: „დარწმუნებული ვარ, 1 წლის მერეც სააკაშვილი ცოცხალი იქნება და ჯანმრთელიც"

მოწმეების ნდობის ფაქტორი დაბალია, ვინაიდან, გამოიკვეთა, რომ მიუხედავად უცხოელობისა, ამერიკელობისა და რეგალიებისა, რეალურად ადამიანები დასკვნებს წერენ ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ზედაპირულია, ან სხვისი გადმოცემით ან ადვოკატის ინფორმაციით იციან, – ამის შესახებ სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.



ადვოკატის თქმით, დღევანდელი სასამართლო პროცესით ნათელი გახდა, რომ მიმდინარეობს „სასჯელის მოხდისგან თავის არიდების გეგმის შესრულების" ოპერაცია.

– მე არ ვამბობ, რომ მიხეილ სააკაშვილი არ არის დაავადებული რაღაც დაავადებებით, რომელიც სტრესისგან და შეუგუებლობისგან არის გამოწვეული. ჩვენ ვიხილავთ იმას, რომ არის თუ არა სააკაშვილი მძიმედ დაავადებული და ეს მძიმე დაავადება არის თუ არა ისეთი, რომლის მკურნალობა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებაში არ შეიძლება, ამაზეა საკითხი.

მეორე მხარე პროპაგანდისტულია, სამართლებრივი და სამედიცინო კუთხით, ყოველთვის აკეთებდა აქცენტებს იმაზე, რომ ის მოწამლეს, არასათანადოდ მკურნალობენ და ამავე დროს ამბობენ, ამაზე რატომ გვპასუხობთო, – განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

კითხვაზე, ხედავს თუ არა ის მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანის საფუძველს, ადვოკატი პასუხობს, რომ სააკაშვილის მკურნალობა, თუ ის დაექვემდებარება და თვითდაზიანებას არ გააგრძელებს, სავსებით შესაძლებელია საქართველოს სამედიცინო დაწესებულებაში.

– დარწმუნებული ვარ, რომ 6 თვის, 1 წლის მერეც სააკაშვილი ცოცხალიც იქნება და ჯანმრთელიც, განურჩევლად იმისა, იქნება პენიტენციურ დაწესებულებაში, საქართველოს რომელიმე კლინიკაში თუ საზღვარგარეთ. მერე იტყვიან, ავად იყო, მაგრამ ჩვენ ვუმკურნალეთო. როგორც ცნობილია, „დემენცია" საერთოდ არ იკურნება, მაგრამ გამონაკლისი იქნება, – აღნიშნა ადვოკატმა.

კითხვაზე, აქვს თუ არა იმ მოწმეების ნდობა, რომლებსაც სასამართლო სხდომაზე მოუსმინეს, ადვოკატი პასუხობს, რომ ნდობის ფაქტორი დაბალია.

– გამოიკვეთა, რომ მიუხედავად უცხოელობისა, ამერიკელობისა და რეგალიებისა, რეალურად ადამიანები დასკვნებს წერენ ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ზედაპირულია, ან სხვისი გადმოცემით, ან ადვოკატის ინფორმაციით იციან. თვითონ არ აქვთ ნანახი და როდესაც ჩაეკითხები, მეორე მხარეს არ უნდა ეს ჩაკითხვები. პასუხი გაგვცეს ის, რომ „ლაბორატორიული და კლინიკური კვლევები არ ჩაგვიტარებია, მაგრამ დიაგნოზი მაინც დავსვითო, – განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

# „სინანული არ გააჩნია" — პროკურორი მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ ყოფილ პოლიციელზე

პროკურორი მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ ყოფილ პოლიციელზე – გიორგი ბეროზაშვილს ამ სასტიკი დანაშაულის მიმართ არანაირი სინანული არ გააჩნია.

– გიორგი ბეროზაშვილს ამ სასტიკი დანაშაულის მიმართ არანაირი სინანული არ გააჩნია, – ამის შესახებ პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა მშობლების მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი პოლიციელის, გიორგი ბეროზაშვილის სასამართლო სხდომაზე განაცხადა.

როგორც პროკურორმა განმარტა, ექსპერტიზით დადგენილია, რომ ყოფილი პოლიციელი გიორგი ბეროზაშვილი დანაშაულის ჩადენის მომენტში ფსიქიკურად დაავადებული არ ყოფილა.

პროკურორის თქმით, ბრალდებულმა დეტალურად აღწერა მშობლების მკვლელობა, მათ შორის თქვა, რომ მამის მკვლელობა რამდენიმე დღით ადრე დაგეგმა და ის გაუფორმებელი იარაღით განახორციელა. პროკურორის განმარტებით, ბრალდებულმა აღნიშნა ისიც, რომ მამის მოკვლის შემდეგ ესროლა დედას, რომელსაც სხვა ოთახში ეძინა. როგორც ბრალდების მხარემ განაცხადა, ამის შემდეგ დაგეგმა ბეროზაშვილმა საკუთარ სახლში ქურდობისა და ყაჩაღობის ინსცენირება.

რაც შეეხება ბრალდებულის პოზიციას, რომ მას მშობლები არ მოუკლავს და თავდაპირველად აღიარებითი ჩვენება პოლიციის ზეწოლის ქვეშ მისცა, გრიგოლ ბიბილაშვილის თქმით, ბეროზაშვილმა ეჭვის დონეზეც კი ვერ მიუთითა, თუ რა მიზეზი უნდა ჰქონოდა პოლიციას, მისთვის მშობლების მკვლელობა დაებრალებინა. ბრალდების მხარის მტკიცებით, საქმეზე აღებული გენეტიკური მასალები ბრალდებულ გიორგი ბეროზაშვილს ეკუთვნის, რაც ადასტურებს იმას, რომ გიორგი ბეროზაშვილმა მშობლების მკვლელობა ჩაიდინა. აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარის თქმით, ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის მიმართ სამართლებრივ პასუხს უმკაცრესი სასჯელი წარმოადგენს.

ბრალდების მხარის პოზიციას არ იზიარებს დაცვის მხარე. როგორც სხდომაზე ადვოკატმა გიორგი ანთიძემ განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი წარდგენილ ბრალდებაში სრულიად უდანაშაულოა. ადვოკატი იმედოვნებს, რომ სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს.

ადვოკატის თქმით, ბეროზაშვილს მშობლებთან კონფლიქტი არ ჰქონია, პირიქით, მათთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა.




ამასთან, ადვოკატი ამტკიცებს, რომ მომხდარის შემდგომ „მიცვალებულები გაძარცვეს", თუმცა ეს მის დაცვის ქვეშ მყოფს არ ჩაუდენია. მისივე განმარტებით, ბრალდებულის დებმა თქვეს, რომ მაროდიორობას გამოძიების ჩატარებისას პოლიციელების მხრიდან ჰქონდა ადგილი.

რაც შეხება ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას, ადვოკატის თქმით, ის პოლიციამ ფარული ჩაწერის შედეგად მოიპოვა.

ცნობისთვის, ვაზისუბანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი 2022 წლის 27 აპრილს მოხდა, რომელსაც წინ მკვლელობა უძღოდა. შსს-ს ცნობით, 30 წლის გიორგი ბეროზაშვილმა მძინარე მშობლები ჯერ დახოცა, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა. ზაზა ბეროზაშვილისა და ლალი თავაძის ცხედრებს, რომლებიც ხანძრის შემდეგ იპოვეს, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებათ. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ყაჩაღობის ინსცენირება მოახდინა, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა და მიიმალა. გიორგი ბეროზაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და „ვ" ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით წარედგინა, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებასა და განზრახ მკვლელობას უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის ორი წევრის მიმართ გულისხმობს. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## კახეთში მანქანა ხევში გადავარდა — დაღუპულია სიღნაღის მერიის თანამშრომელი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ავარიის შედეგად სიღნაღის მერიის თანამშრომელი გარდაიცვალა. შემთხვევა ცოტა ხნის წინ ნუკრიანი-ჩალაუბნის დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოხდა.

თვითმხილველების თქმით, „ტოიოტა რავ 4"-ის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხევში გადავარდა.

შემთხვევის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ავტომობილის მგზავრი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი, ხოლო რამდენიმე ადამიანი დაშავდა, შედარებით მძიმეა ერთი მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ის კლინიკაშია გადაყვანილი.

## სენაკში მიკროავტობუსს ხე დაეცა, დაშავებულია რამდენიმე ადამიანი

სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე სამგზავრო მიკროავტობუსს ხე დაეცა. დაშავდა 3 ადამიანი. ისინი სენაკის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთის მდგომარეობა შედარებით მძიმეა.

შექმნილია საგანგებო შტაბი, რადგან დღის მეორე ნახევარში ქარის გაძლიერებას ელოდებიან.

შეგახსენებთ, დასავლეთ საქართველოში უკვე 2 დღეა ძლიერი ქარია.

## ძალადობაში ბრალდებულია მომღერალი აჩი მეფარიძე

ძალადობაში დადანაშაულებულ მომღერალს დაზარალებული ახალ ბრალდებას უყენებს. ლელა ჯუღელი აცხადებს, რომ აჩიკო მეფარიძე გამოძიების შეწყვეტას ითხოვდა და ამ მიზნით შუამავლის მეშვეობით მის მოსყიდვას ცდილობდა.

თავად მომღერალი წაყენებულ ბრალდებას უარყოფს და მომჩივანს პროვოკატორს უწოდებს იმის მიუხედავად, რომ საქმეში სათვალთვალო კამერებით გადაღებული კადრები ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა.

10 თვის წინ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარი ინციდენტის განხილვა უკვე სასამართლოში გადაინაცვლებს.

# ჯოჯოხეთი სოლედარში



— სოლედარს რამდენიმე დღეში ავიღეთ! — ვლადიმერ პუტინის ამ სიტყვებმა მსოფლიოს წამყვანი ტელეარხები მოიარა. დიქტატორს ბანი მისცა მისმა ფავორიტმა, კერძო სამხედრო ორგანიზაცია „ვაგნერის“ შეფმა პრიგოჟინმა.

პუტინის ფავორიტმა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ტაქტიკა გაიმეორა. როგორც ცნობილია, გენერალმა ჟუკოვმა გამოიყენა პატიმრები. მისი ინიციატივით შექმნეს ე.წ. საჯარიმო ასეულები, სადაც ციხეებიდან გათავისუფლებული სისხლის სამართლის დამნაშავეები შეყარეს. მათ შეტევაზე წინ უშვებდნენ, უკან კი მედესანტეები და წითელი არმიის გამოცდილი მებრძოლები მიჰყვებოდნენ. ჟუკოვის ტაქტიკამ გაამართლა. საბჭოთა არმია ქალაქს — ქალაქზე იღებდა და ეს ციხეებიდან გამოშვებული პატიმრების სიცოცხლის ხარჯზე ხდებოდა. სოლედართან პრიგოჟინმა ასევე სისხლის სამართლის დამნაშავენი გაუშვა წინ. მათი უმრავლესობა სასჯელს მძიმე დანაშაულებისათვის (მკვლელობა, ძარცვა, გაუპატიურება და ა.შ.) იხდიდა. ეს ხალხი გზას უთავისუფლებდა რუს მედესანტეებს, რომლებიც ვაგნერის ბოევიკებს უკან მიჰყვებოდნენ. ერთ ხანს ამ ტაქტიკამ გაამართლა. რუსებმა უკრაინელების დამცავი ხაზი გაარღვიეს და სოლედარში შეიჭრნენ. ბრძოლები უკვე ქალაქის ცენტრში მიმდინარეობდა. აქ პრიგოჟინმა იცრუა:

— სოლედარი მთლიანად ვაგნერელთა კონტროლქვეშაა! უკრაინელთა მცირე ჯგუფი ქალაქის ცენტრში გამაგრდა! ისინი ან იარაღს დაყრიან, ან ჩაიხოცებიან!

მდგომარეობა მართლაც კრიტიკული იყო. ამიტომ პრეზიდენტმა ზელენსკიმ სოლედარში საგანგებოდ მიავლინა უკრაინის სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალი სირსკი. კიევში დაბრუნებულმა სირსკიმ ყოველივე პრეზიდენტ ზელენსკის მოახსენა. მალე სოლედარში დამხმარე ძალა გაგზავნეს. რუსების შეტევის შეკავება მოხერხდა, მაგრამ ცოტა ხნით.

პრიგოჟინი ტყავში ძვრებოდა, რათა დაემტკიცებინა, რომ ვაგნერის ბოევიკები წარმატებას მიაღწევენ იქ, სადაც რეგულარული არმია ვერას გახდა. რუსებმა დამხმარე ძალები გადაისროლეს. უკრაინელებმა ეს შეტევაც მოიგერიეს. მაშინ პრიგოჟინმა დახმარებისათვის თავის კონკურენტ არმიას ანუ გენერალ სუროვიკინს მიმართა. გენერალმაც სოლედართან მედესანტეების და სპეცნაზელების ახალ-ახალი ჯგუფები გადაისროლა. უდიდესი დანაკარგების მიუხედავად, რუსები შეტევას განაგრძობენ.

— ეს იყო საშინელი სანახაობა! ქვემეხების ჭურვებით განგმირული ვაგნერელები ეცემოდნენ, მედესანტეები კი მათ გვამებს გადაალაჯებდნენ და შეტევაზე გადასვლას ცდილობდნენ, — ამბობს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი. ამ გზით რუსებმა სოლედარის ცენტრში შეაღწიეს. უკრაინელები არც ახლა შედრკნენ. ისინი რუსულ ტანკებს ერთი მეორის მიყოლებით აფეთქებდნენ. ოკუპანტებმაც უკან დაიხიეს. ქუჩები რუსი ჯარისკაცების და ვაგნერის ბოევიკების გვამებით იყო სავსე. ზოგს ჭურვმა თავი წააცალა, ზოგს ფეხები მოაგლიჯა. იყვნენ ისეთებიც, ვისი ნაწლავებიც მიწაზე ეყარა. სხვა რამ მათგან არაფერი დარჩა. ოკუპანტებიც იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

პუტინის ბრძანებით, სოლედართან მედესანტეთა ახალი ჯგუფი გადაისროლეს. ბრძოლები გრძელდება. უახლოესი 24 საათი უაღრესად კრიტიკული იქნება.

# აშშ-ის კონგრესს ახალი ხელმძღვანელები ჰყავს

როგორც ცნობილია, აშშ-ის ახალ კონგრესში უმრავლესობას რესპუბლიკური პარტიის წევრები შეადგენენ. მათ აირჩიეს კონგრესის ახალი ხელმძღვანელობა, კერძოდ, საგარეო ურთიერთობების ასიგნების და დაზვერვის კომიტეტებს უხელმძღვანელებენ ახალი პირები.

საგარეო ურთიერთობების კომიტეტს სათავეში ჩაუდგება პიკოლი. ის უკრაინასთან ურთიერთობების გაღრმავების მომხრეა. სწორედ პიკოლი მოითხოვდა ბაიდენისაგან, რომ უკრაინა თანამედროვე სამხედრო ტექნიკით, კერძოდ, შორსმსროლელი რაკეტებით მოემარაგებინა. ასევე პროუკრაინულად არიან განწყობილნი თავდაცვის, დაზვერვის და ასიგნების კომიტეტების თავმჯდომარეები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მადლმოსილ, უანგარო მოძღვარს მადლიერი მრევლისაგან



ბასილი დიდი ბრძანებს: „თითოეულს მისთვის სასარგებლო ნიჭი ღმერთისაგან მისი რწმენისაებრ ეძლევა“. რწმენით მოცემული ნიჭი თითოეულმა ჩვენთაგანმა ღმრთის მცნებების დაცვას, ერის ინტერესების დაცვას უნდა ვანაცვალოთ. ვინ რა აკეთა ამ მიწიერ წუთისოფელში საშინელ სამსჯავროზე ყოველივე გამჟღავნდების და მოგვეგებება დამსახურებისამებრ. სათნო და პირნათელი ადამიანის ანგელოზი ხარობს, რამეთუ ამაყად წარადგენს უზენაესთან მართალ სულს.

„თითოეული ქრისტიანი, საკუთარი შეხედულებისამებრ, სხვებისთვის სათნოების მაგალითს უნდა წარმოადგენდეს“ (ბასილი დიდი).

სწორედ ბავშობიდანვე თქვენი მფარველი ანგელოზი მეტად ხარობს, რამეთუ თქვენი ამა სოფლის ცხოვრება ( დიდხანს იცოცხლეთ) გაჯერებულია ღვთის სათნო საქმეებით. ურთიერთშეზავებული ორი ბუნებით: სიმკაცრე და ლმობიერება, მკაცრი მაშინ, როცა დაგეგმილი საქმე ისე ვერ გამოდის, რომელიც თქვენი სიღრმისეული სულიერობიდან მოდის. მეტად ლმობიერი კი, როცა დაგეგმილი გეგმა სისრულეში მოგყავთ დროულად, ხარისხისამებრ. ღვთის შემწეობით ყოველგვარ დაბრკოლებას უმკლავდებით, რამეთუ „ყოველგვარი სათნოების თავი ღმერთია, როგორც დღის შუქისა — მზე“ (წმ. მარკოზ განშორებული).

უანგარო მოძღვარო, ზეციური მადლი და წყალობა თქვენ უსასყიდლოდ მოგენიჭათ და თქვენც უსასყიდლოდ გასცემთ „ღმერთის მადლის უსასყიდლოდ მომღებმან, უსასყიდლოდ უნდა გასცეს და არა გამოიყენოს საკუთარი გამორჩენისათვის“ (ბასილი დიდი).

ძნელი წარმოსადგენია, ღია ცის ქვეშ მყოფმა მოძღვარმა მრევლთან ერთად მათივე შემოწირულობით შექმნას ამოდენა სავანე სულიერი, რომ არა უფლის მადლი და შემწეობა. ამიტომაც დაგადგათ უფალმა უმძიმესი ჯვარი და გაიზიარეთ ღირსეულ, წმიდა მამათა ხვედრი. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა პირველი პრეზიდენტი განდევნეს სამშობლოდან, როცა დუმდა ერი, ბერი, თქვენ შეიფარეთ დევნილი მორწმუნენი, ბრძანდებოდით უდანაშაულო პატიმრების ქომაგი, უკომპრომისოდ ებრძოდით შემოგზავნილ მტრებს სარწმუნოებისა, ბევრჯერ მიიტანეთ საკუთარი სიცოცხლე სარწმუნოების, ერის სამსხვერპლოზე. თქვენმა სულიერმა ბრძოლამ დიდი შედეგი გამოიღო, სწორედ თქვენ მიეცით მაგალითი, სტიმული, მიმართულება ერის, ეკლესიის მესვეურთ, როგორ გაფრთხილებოდნენ სახელოვან წინაპართა მონაპოვარს. შეიძლება დღეს მავანნი არ საუბრობენ ფაქტებზე, მაგრამ მემატიანე ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენს.

თქვენ განვლეთ წმიდა მამათა ცხოვრებისეული ყველა საფეხური, ქრისტეს მცნებების თავგანწირული დაცვა, შრომისმოყვარეობა, თავდადება, დევნილობა, პატიმრობა: „უფალთან სიახლოვე ღვთის წესის გულმოდგინე შესრულებაში ვლინდება“ (ბასილი დიდი).

უანგარო, მართალო, სარწმუნოებისა და ერის ერთგულებაში დამაშვრალო მოძღვარო, ვალმოხდილო, პირნათელი დგახართ ღმრთისა და ერის წინაშე, უკან მოხედვის არ გეშინიათ, ჭაღარაშერეული, თქვენი სიბრძნით და გონიერებით, როგორც ბერმუხა გვაძლიერებთ და მომავლის იმედს გვინერგავთ. ეს არ არის ფორმალური სიტყვები, არამედ სიმართლეა, ჭეშმარიტება, რომელსაც ერი, ბერი თვალნათლივ ხედავს.

მამა ბასილ, გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს — შობას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, 2023 წელს, უდიდესი მამის ბასილი დიდის ხსენების დღეს და თქვენი დაბადებიდან 76 წლის თავს! დიდხანს გხედავდეთ ღვთის სამსახურში, დიდხანს ყოფნას თქვენ დიდ ოჯახთან, ერთგულ მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად! ბევრი გააკეთეთ მრევლის, ახლობლების თანადგომით და კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის მოძღვრები მამა ვახტანგ მარგიანი, მამა გიორგი აჩელაშვილი (მამა ბასილის შვილიშვილი) და მრავალრიცხოვანი მრევლი.**



# ხელოვნების სასახლეს ოქროს მედალოსანი მხატვრის ნამუშევარი აჩუქეს

ხელოვნების სასახლეს პარიზის მსოფლიო და ბერლინის საიუბილეო გამოფენების ოქროს მედალოსანი მხატვრის ნამუშევარი საჩუქრად გადაეცა,

ხელოვნების სასახლეს მზრუნველთა საბჭოს წევრმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე კინოპროდიუსერმა სერგეი იახონტოვმა ცნობილი მხატვარ-ბატალისტის უნიკალური ნამუშევარი გადასცა.

ნახატი სახელად „კავკასიაში“ 1897 წელსაა შესრულებული. ნამუშევრის ავტორი მსოფლიოში ცნობილი მხატვარი პავლე კოვალევსკია. პავლე კოვალევსკიმ 1873 წელს სამი წელი იმოგზაურა ევროპაში, გერმანიაში, ავსტრიასა და იტალიაში, ძირითადად მუშაობდა რომში. 1876 წელს საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსის წოდება მიენიჭა. 1878 წელს მხატვარმა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მეორე კლასის ოქროს მედალი მიიღო, 1886 წელს ბერლინის საიუბილეო გამოფენაზე კი მას ოქროს ჯილდო გადასცეს.

მხატვრის ნამუშევრები მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში, მათ შორის, ტრეტიაკოვის გალერეაშია დაცული.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### მეცნიერებმა ყველაზე ჭკვიანი და სულელი ძაღლის ჯიშები გამოავლინეს



ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომლის შედეგების მიხედვით ყველაზე ჭკვიანი და სულელი ძაღლის ჯიშები დაასახელეს.

აღნიშნულ გამოკვლევაში 13 ჯიშის ძაღლი მონაწილეობდა. მეცნიერებმა 10 სახის გამოცდა ჩაუტარეს შინაურ ცხოველებს. კერძოდ, მკვლევარებმა გამოიკვლიეს, რამდენად ახერხებენ ძაღლები ადამიანის ჟესტების აღქმას, ინფორმაციის დამახსოვრებას და დასახული ამოცანის შესრულებას. მათ გააანალიზეს სხვადასხვა ჯიშის ათასი ძაღლის ტესტის შედეგები.

გამოსაკვლევი ჯიშის ძაღლებს შორის იყვნენ: ბორდერ-კოლი, ბელგიური ნაგაზი, ინგლისური კოკერ-სპანიელი, გერმანული ნაგაზი, ოქროსფერი რეტრივერი, ლაბრადორ-რეტრივერი, მთელი რიგი მეტისები. ერთ-ერთ გამოცდას უნდა გამოევლინა, თუ რამდენად დამოუკიდებლები იყვნენ ძაღლები. გამოსაცდელებს უნდა მოეფიქრებინათ, როგორ მიწვდომოდნენ საჭმელს, რომელიც კოლოფში იყო დამალული.

კვლევის შედეგად ყველაზე ჭკვიანი ჯიშის ძაღლი ბელგიური ნაგაზი აღმოჩნდა. მან 39-დან 35 ქულა მოაგროვა. ამ ჯიშის ძაღლებს ყველაზე მეტად პოლიციაში იყენებენ. ინტელექტის დონის მიხედვით მეორე ადგილზე ბორდერ-კოლი აღმოჩნდა 26 ქულით, ხოლო მესამე ადგილი ხოვავარტის ჯიშის ძაღლებს ერგოთ, რომელთა მონაგარი 25 ქულა აღმოჩნდა.

მკვლევარის საარა ჯუნტილას თქმით, ჯიშების უმრავლესობას თავისი პლუსები და მინუსები აქვს. მაგალითად, ლაბრადორ-რეტრივერი ყველაზე კარგად იგებს ადამიანის ჟესტებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ცუდად ერკვევა სივრცული ამოცანების გადაწყვეტაში. ზოგიერთი ჯიშის ძაღლებმა კი დაახლოებით თანაბარი ქულები მიიღეს ყველა ტესტში. მაგალითად, შოტლანდიურმა ნაგაზმა.

გამოკვლეულ ძაღლის ჯიშებს შორის, მკვლევარების დასკვნით, ყველაზე სულელი ლაბრადორ-რეტრივერები აღმოჩნდნენ. მათ ყველაზე დაბალი შეფასებები მიიღეს მათთვის დასახული ამოცანების გადაწყვეტასა და აკრძალვების გამოცდაში. თუმცა ექსპერტებმა იქვე განმარტეს, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კიდევ უფრო სულელი ჯიშები არ არსებობენ.

### ჭერიდან ჩამოვარდნილმა სამმეტრიანმა პითონმა ოჯახი შოკში ჩააგდო



მალაიზიის სარავაკის შტატში სამმეტრიანი პითონი სახლის ჭერის ჭრილიდან სასტუმრო ოთახში იმ დროს ჩავარდა, როდესაც ოჯახი ტელევიზორს უყურებდა.

აღნიშნული ინციდენტი ორშაბათს, 9 იანვარს მოხდა. ოჯახი საკუთარ სახლში მშვიდად ისვენებდა, როდესაც მათთან ჭერიდან გველი ჩავარდა. შეშინებულმა ოჯახმა მაშინვე მუნიციპალიტეტის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის წარმომადგენლები გამოიძახეს.

გამოძახების ადგილზე მისულ ორგანიზაციის თანამშრომლებს ნახევარი საათი დასჭირდათ თითქმის რვაკილოგრამიანი ქვეწარმავლის დასაჭერად. სამმეტრიანი პითონი შემთხვევის ადგილიდან მოშორებით, დაუსახლებელ ადგილას გადაიყვანეს და გაუშვეს.

### ახალგაზრდას პაემანზე მისული გოგონას სამოსი არ მოეწონა



ბლოგერი ანა შაფერი ყმაწვილმა მისი სამოსის გამო უარყო. ამის ამსახველი ვიდეო ტიკტოკში გოგონას გვერდზე იქნა გამოქვეყნებული, რომელსაც 166,5 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

გოგონას თქმით, ის პოტენციურ რჩეულთან პაემანზე წავიდა და შენიშნა, რომ ყმაწვილი საეჭვოდ იქცეოდა. ბლოგერის თქმით, მან იფიქრა, რომ ის მისი გემოვნებისთვის შესაფერისი არ აღმოჩნდა. თუმცა მოგვიანებით გაარკვია, რომ ყმაწვილს მისი ტანსაცმელი არ მოეწონა და ამიტომ თქვა უარი მასთან ურთიერთობაზე. აღსანიშნავია, რომ გოგონა პაემანზე მაღალწელიან ხაკისფერ შარვალსა და ნაცრისფერ ზედაში გამოწყობილი მივიდა.

— მე არ მომწონს, როდესაც ჩემი სამოსის გამო უარმყოფენ. ვამჯობინებდი, რომ ჩემზე უარი ჩემი ხასიათის გამო ეთქვათ, — განაცხადა შაფერმა.

### ვეფხვის თავდასხმას გოგონა ცოცხალი გადაურჩა



ინდოეთის ბიხარის შტატში ვეფხვი თავს დაესხა 12 წლის გოგონას, რომელიც ფიჩხის შეგროვებით იყო დაკავებული და მას სერიოზული დაზიანებები მიაყენა.

12 წლის დივია კუმარი სოფელ ბაკხრიდან, თანასოფლელებთან ერთად ტყეში, რომელიც ვეფხვების ნაკრძალის მახლობლად მდებარეობს, ფიჩხის შესაგროვებლად იმყოფებოდა.

მოულოდნელად ვეფხვი გამოიჭრა და გოგონას ზურგის მხრიდან დაესხა თავს. დივიამ ყვირილი ატეხა და მის ხმაზე დასახმარებლად იქვე ახლოს მომუშავე ფერმერებმა მიირბინეს. მათ დანახვაზე მტაცებელმა გოგონას თავი დაანება და ტყის სიღრმეში გაუჩინარდა.

დაშავებული გოგონა საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მას სერიოზული დაზიანებები აღენიშნება ხელებსა და კისერზე. ექიმის შაში კუმარის თქმით, მიუხედავად სერიოზული დაზიანებებისა, გოგონას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა — რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# დინამოს ფაქტორები: ტრავმების არიდება და გამართლება წილისყრაში

11 იანვრიდან დინამო თბილისი ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყო. დედაქალაქელები თურქულ ლარაში ჩავიდნენ, სადაც შეკრებას ორ ეტაპად გაივლიან.

მზადების პირველ ნაწილში, რომელიც 11-დან 22 იანვრის ჩათვლით გაიმართება, თბილისელები 3 ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

15 იანვარს დინამო უკრაინული პრემიერ ლიგის დნიპრო 1-ს შეხვდება, 18 იანვარს სპარინგ პარტნიორობას ბულგარული პლოვდივის ლოკომოტივი გაუწევს, ხოლო 22 იანვარს სერბეთის ჩემპიონ ცრვენა ზვეზდას დაუპირისპირდება.

**თურქულ შეკრებაზე გიორგი ჭიაბრიშვილმა 26 ფეხბურთელი წაიყვანა:**

**მეკარეები:** დათო კერესელიძე, ლუკა კუტალაძე და მიხეილ მაქაცარია.

**მცველები:** ჯიმი ტაბიძე, საბა ხვადაგიანი, ნიკა მალი, ალექსანდრე კალანდაძე, ლუკა ლაცაბიძე, ნიკა უგრეხელიძე, დავით კობოური და გიორგი მაისურაძე.

**ნახევარმცველები:** ანზორ მექვაბიშვილი, ლევან ოსიყმაშვილი, გაბრიელ სიგუა, გიორგი მოისწრაფიშვილი, თორნიკე კირკიტაძე, უსმანე კამარა, ბარნს ოსეი, იმრან ულად ომარი, ლუკა პარკაძე, ვაგნერ გონსალვეში და ლაშა ოდიშარია.

**თავდამსხმელები:** დავით სხირტლაძე, სტანისლავ ბილენკი, ზორან მარუშიჩი და ჯადული იობაშვილი.

გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი მზადების მეორე ნაწილს 26 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით გააგრძელებს, ამხანაგურ მატჩებში მეტოქეთა ვინაობას კი ახლო მომავალში გამცნობთ.

ამასობაში თბილისის დინამოს პრეზიდენტი რომან ფიფია ბევრ სიახლეს და საინტერესო ამბებს გვპირდება.

**რომან ფიფია:**

– ჩვენმა გუნდმა, პირველ რიგში, ჭიაბრიშვილის ხელმძღვანელობით ყველას დაანახა, რომ არის ბრძოლისუნარიანი. გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა და ის გამარჯვების ჟინი, რომელსაც ვხედავთ, ვფიქრობ, არის წინაპირობა, რომ ევროსარბიელზე წარმატებულად გამოვიდეთ.

გვექნება ძალიან ბევრი სიახლე. სპონსორებთან მუშაობა მიმდინარეობს და დინამოში ძალიან მნიშვნელოვანი სპონსორები შემოვლენ. ეს პროცესი უახლოეს პერიოდში გადამწყვეტ ფაზაში შევა. ძალიან სერიოზული სპონსორული და პარტნიორული თანამშრომლობა იქნება. შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი ნაბიჯი ბოლო 11 წელიწადში, რაც დინამოს პრეზიდენტი ვარ, პირველად გადავდგი.

**კიდევ უფრო ვრცლად ისაუბრა დინამოელთა თავკაცმა გიორგი ჭიაბრიშვილმა:**

– პირველ რიგში, მეტოქეებზე მოგახსენებთ: შეირჩნენ თავიანთ ქვეყნებში გამორჩეული კლუბები, ძლიერი გუნდები. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ გვიწევს ევროტურნირებზე ასპარეზობა, ვეცადეთ, დაახლოებით ისეთი სპარინგები გვქონოდა, როგორი მეტოქეებიც გვეყოლება ევროთასებზე.

რაც შეეხება გუნდს, შვებულებიდან ფეხბურთელები კარგ მდგომარეობაში დაბრუნდნენ. შეკრების მთავარი დანიშნულება არის, რომ ჩვენ ფიზიკურად, ფუნქციონალურად და ტაქტიკურად კარგად მოვემზადოთ. ამ მატჩებს იმისთვის გამოვიყენებთ, რომ თამაში დავალაგოთ.

ჩვენთვის მთავარია, ვითამაშოთ ის ფეხბურთი, რომლის თამაშსაც ვაპირებთ სეზონის განმავლობაში. რა თქმა უნდა, შეკრებაზე მაქსიმალურად კარგ ფორმაში ვერ ვიქნებით და მაქსიმალურად კარგ თამაშს ვერ ვაჩვენებთ, რადგან ეს მატჩები იქნება დატვირთვების ფონზე, მაგრამ ვეცდებით, მაქსიმალურად მივუახლოვდეთ იმ თამაშს, რომელიც გვინდა, რომ მთელი წლის განმავლობაში ვითამაშოთ...

სეზონის შემდეგ ყოველთვის ხდება ცვლილებები გუნდში, ცვლილებები – გაძლიერებისთვის. ეს ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ახალი სეზონისთვის მზადების პროცესში ყოველთვის რაღაც იცვლება. ამ შემთხვევაში ჩვენც არ ვართ გამონაკლისები.

დავიმატეთ ორი ფეხბურთელი და კიდევ ორ ფეხბურთელზე ვფიქრობთ, ველოდებით, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ... ყველაზე მთავარი



კი ის არის, რომ შევინარჩუნეთ ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც მინდოდა, რომ ყოფილიყო ამ წელს ჩვენთან ერთად.

ეს მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვიდრე ტრანსფერები და ფეხბურთელების ჩამოყვანა – იმ ფეხბურთელების შენარჩუნება, რომლებთან ერთადაც უკვე ნახევარი სეზონი გავიარეთ და ბევრ რამეში უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რაც მოახერხა კლუბმა.

განვლილმა სეზონმა დაგვანახა, რომ აკადემიიდან გადმოყვანილ ფეხბურთელებს საერთოდ დრო არ დასჭირდათ და ზოგმა ძირითადშიც ითამაშა, ზოგმა გადამწყვეტი გოლიც გაიტანა, ძალიან კარგი კუთხით წარმოაჩინა თავი... რომ გადავხედოთ, ციფრებში რომ არ შევცდე, 16 ფეხბურთელია თურქულ შეკრებაზე დინამოს აკადემიის აღზრდილი.

ანუ გუნდი თითქმის მთლიანად არის დაკომპლექტებული აკადემიის აღზრდილებით. ეს არის ძალიან კარგი პრეცედენტი. ეს არის ძალიან დიდი სიძლიერე კლუბის და მთავარი მწვრთნელის, იმიტომ, რომ მე იმ დროის განმავლობაში, რომელიც აქ გავატარე, არ გამჭირვებია კონკურენციის შექმნა.

იმ შემთხვევაში, როცა სხვა გუნდებს რესურსი არ ეყოთ, ჩვენ ეს კომფორტი გვქონდა. მუდმივად 20 კაცი იყო გუნდში და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ხვდებოდა ამ ოცკაციან განაცხადში. ეს ძალიან დიდი სიძლიერეა და, ალბათ, ამაზე დგას მთლიანად კლუბი. ეს არის მამოძრავებელი ღერძი...

დარწმუნებული ვარ, ევროტურნირებს კარგი გუნდით შევხვდებით. ზუსტად ვიცი, რომ სერიოზული ძალა ვიქნებით ნებისმიერი მეტოქისთვის და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მაღალი მიზნებისთვის, ანუ ჯგუფში მოსახვედრად ვიბრძოლოთ...

მაგრამ მაინც დამოკიდებულები ვართ სხვადასხვა ფაქტორებზე. ამათგან ორ ფაქტორს გამოვყოფ, რომ გულშემატკივარმაც იცოდეს. ერთი არის ის, როგორ შევხვდებით ევროთასებს ტრავმების მხრივ და მეორე – როგორი წილისყრა გვექნება.

ანუ მთლიანად ჩვენს თავზე არ ვართ დამოკიდებულები, მაგრამ ვეცდები, მომავალში „დინამო“ ისეთ გუნდად ჩამოყალიბდეს, რომ წლების განმავლობაში ვიყოთ ძირითადად საკუთარ თავზე დამოკიდებული, არც ტრავმებზე, არც წილისყრაზე და გავხდეთ ისეთი ძალა, რომ ჩვენ ვიყოთ ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაში.

ამას რაღაც დრო დასჭირდება, მაგრამ ჩვენ მცდელობას არ დავაკლებთ. უბრალოდ, დღეს რომ ვთქვა, ამას ვიზამთ და იმას ვიზამთ, და რომ გამოვრიცხოთ ეს ფაქტორები, არ გამოირიცხება, რადგან დღეს ასეთია რეალობა. ამიტომ, დაველოდოთ ევროტურნირებს, როგორ შევხვდებით და რომელი გუნდი გვეყოლება მოწინააღმდეგედ...

პირველ რიგში, გულშემატკივარს მადლობას გადავუხდი. ჩვენი ერთად განვლილი დრო იყო წარმატებული და მათ ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით. მე ვთხოვდი მათ, რომ ასე გავაგრძელოთ და ერთად ვიაროთ. ერთად უფრო დიდი ძალა ვართ და ერთმანეთის გარეშე გამორიცხულია ჩვენი წარმატება.

ერთად სხვა ძალად ვყალიბდებით და მე ვთხოვ, ვისაც ფეხბურთი უყვარს, ვისაც „დინამო“ უყვარს, რომ ნელ-ნელა უფრო ხალხმრავალი გახდეს ჩვენი თამაშები, უფრო მეტი გულშემატკივარი მოვიდეს ჩვენს მატჩებზე...

# მამარდაშვილი გმირობამდე თანაგუნდელებმა არ მიუშვეს



ესპანეთის სუპერთასის ნახევარფინალში ძალიან მაგარი თამაში ჰქონდა გიორგი მამარდაშვილს, რომლის ვალენსია მადრიდის რეალთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. თავიდან რეალმა შეაგდო – ქარიმ ბენზემამ პენალტი გაიტანა. ვალენსიამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე სამუელ ლინოს გოლით გაათანაბრა. მატჩის ბოლო მამარდაშვილმა ჯერ ვინისიუს არ გაატანინა, შემდეგ – ტონი კროოსს და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. ჩვენებური იქაც კარგად გაისარჯა, გუნდი რამდენჯერმე იხსნა, მაგრამ პენალტების სერიაში მისმა თანაგუნდელებმა ვერ ივარგეს – 11 მეტრიდან ორჯერ ვერ გაიტანეს და ფინალში რეალი გაუშვეს.

ამის მიუხედავად, ესპანურ პრესაში ქართველ მეკარეს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

**აი, რას წერს ესპანური მარკა:**

– მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზის გარეშე დარჩა ვალენსიას გმირი მამარდაშვილი, რომლის შესანიშნავი თამაში პენალტების სერიამ გააფუჭა. ქართველმა ვალენსია რამდენჯერმე გადაარჩინა და მიუხედავად საბოლოო მარცხისა, მოედანი თავაწეულებმა დატოვეს. ერთ-ერთი მთავარი გმირი მამარდაშვილი იყო. ქართველმა აჩვენა, რატომ არის მეკარე, რომლის ღირებულება ბოლო 1 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გაიზარდა. მატჩის ბოლოს გიორგი კარიდან გამოფრინდა და ვინისიუსის დარტყმას გადაეფარა, შემდეგ საჯარიმოს გარედანაც აჯობა, ისევე, როგორც ტონი კროოსის შესანიშნავი დარტყმა მოიგერია.

მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა ვალენსიას მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ, რომელმაც ტიბო კურტუაზე ისაუბრა და იქვე გიორგი მამარდაშვილის კარგი თამაშიც არ გამორჩენია:

– კურტუა მრავალი წელია წარმოუდგენელ დონეზე თამაშობს. დღეს ჩვენს მეკარესაც 4-5 ძალიან კარგი მოგერიება ჰქონდა. ვიცით, რომ კურტუა შესანიშნავი მეკარეა. ჩემს კარიერაში პენალტების სერიაში მოვიგე მსოფლიოს ჩემპიონატი, მაგრამ დღეს არ გაგვიმართლა.

მამარდაშვილს მორიგი მატჩი ესპანეთის სამეფო თასზე ელოდება, სადაც მეტოქედ დაბალლიგელი ხიხონის სპორტინგი ეყოლება.

# მჭედლიშვილი ერთპიროვნულად გალიდერდა

მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატს ვაჟ მოჭადრაკეთა შორის, უკვე ერთი ლიდერი ჰყავს. მე-7 ტურში მიხეილ მჭედლიშვილმა თეთრებით თორნიკე სანიკიძე დაამარცხა და 5,5 ქულით ერთპიროვნულად გალიდერდა.

მჭედლიშვილს ნახევარი ქულით ჩამორჩება გიგა ყუფარაძე, რომელმაც შავებით ლუკა პაიჭაძესთან ყაიმი გააფორმა.

სხვა პარტიები ასე დასრულდა: მერაბ გაგუნაშვილმა თეთრებით ვერ მოუგო აუტსაიდერ ნოე თუთისანს, ნიკოლოზ კაჭარავამ დავით მაღალაშვილი დაამარცხა, ხოლო ნიკოლოზ პეტრიაშვილმა – გაიოზ ნიგალიძე.

7 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: მჭედლიშვილი – 5,5 ქულა; ყუფარაძე – 5; გაგუნაშვილი, პაიჭაძე, სანიკიძე – 4; ნიგალიძე – 3,5; კაჭარავა – 3; მაღალაშვილი, პეტრიაშვილი – 2,5; თუთისანი – 1.

# ბითაძე ინდიანაში საუკეთესო იყო



გოგა ბითაძის ინდიანა ნიუ იორკში ნიკსს ესტუმრა და 113:119 დამარცხდა. ინდიანაპოლისელებს მთავარი ცენტრი, მაილს ტერნერი აკლდათ, ამიტომაც ბითაძის გამოჩენას ველოდით, მაგრამ რიკ კარლაილსმა ძირითადში ჯეიმს ჯონსონი დააყენა, რომელმაც 13 წუთში ქულა ვერ მოინაგრა. ბითაძე კი, საქმეში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და პარკეტზე 15 წუთი გაატარა, რა დროშიც 5 ქულა, 3 მოხსნა და თითოც პასი, ჩაჭრა და დაფარება მიითვალა. ბითაძის მოედანზე ყოფნის დროს ინდიანამ 10 ქულით მეტი ჩააგდო და ეს გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

გოგამ ერთი ორქულიანი ზუსტად ისროლა, პერიმეტრიდან კი ორჯერ შეუტია და ერთხელ ჩააგდო.

ინდიანას 23 მოგება და 19 მარცხი და ამ მაჩვენებლით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეშვიდე ადგილზეა. მომდევნო მატჩი ბითაძის გუნდს 14 იანვარს ელის – შინ, ატლანტა ჰოუკსთან.

სწორედ ატლანტელებს მოუგო მეორე ქართველის, სანდრო მამუკელაშვილის მილუოკი ბაქსმა 114:105, მაგრამ ჩვენებური განაცხადშიც არ ყოფილა.

მილუოკელები 27 მოგებითა და 14 მარცხით დასავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილზე ჩამოქვეითდნენ. მომდევნო მატჩი ბაქსს, 13 იანვარს, მაიამი ჰითთან ელის.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## 11 იანვარი

### ფეხბურთი

**ინგლისი. ლიგის თასი**

ნოტინგემი-ვულვზი ............ 1:1(4:3პ)
საუთჰემპტონი-სიტი ............ 2:0

**ესპანეთი. სუპერთასი**

რეალი-ვალენსია ............ 1:1(4:3პ)

**იტალია. თასი**

მილანი-ტორინო ............ 0:1(დდ)

**საფრანგეთი. ლიგა 1**

აიაჩო-რეიმსი ............ 0:1
ბრესტი-ლილი ............ 0:0
კლერმონი-რენი ............ 2:1
ნანტი-ლიონი ............ 0:0
ოსერი-ტულუზა ............ 0:5
ლორიანი-მონაკო ............ 2:2
ნიცა-მონპელიე ............ 6:1
პსჟ-ანჟე ............ 2:0
სტრასბური-ლანსი ............ 2:2
ტრუა-მარსელი ............ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 15 | 2 | 1 | 48-13 | 47 |
| 2.ლანსი | 18 | 12 | 5 | 1 | 31-13 | 41 |
| 3.მარსელი | 18 | 12 | 3 | 3 | 36-15 | 39 |
| 4.რენი | 18 | 10 | 4 | 4 | 35-20 | 34 |
| 5.მონაკო | 18 | 10 | 4 | 4 | 35-25 | 34 |
| 6.ლორიანი | 18 | 9 | 5 | 4 | 30-26 | 32 |
| 7.ლილი | 18 | 9 | 4 | 5 | 30-24 | 31 |
| 8.ლიონი | 18 | 7 | 4 | 7 | 27-21 | 25 |
| 9.კლერმონი | 18 | 7 | 4 | 7 | 22-26 | 25 |
| 10.ნიცა | 18 | 6 | 6 | 6 | 22-20 | 24 |
| 11.რეიმსი | 18 | 5 | 9 | 4 | 21-23 | 24 |
| 12.ტულუზა | 18 | 6 | 4 | 8 | 28-33 | 22 |
| 13.ტრუა | 18 | 4 | 6 | 8 | 29-35 | 18 |
| 14.ნანტი | 18 | 3 | 9 | 6 | 18-24 | 18 |
| 15.მონპელიე | 18 | 5 | 2 | 11 | 28-37 | 17 |
| 16.აიაჩო | 18 | 4 | 3 | 11 | 15-27 | 15 |
| 17.ბრესტი | 18 | 3 | 5 | 10 | 18-33 | 14 |
| 18.ოსერი | 18 | 3 | 4 | 11 | 16-40 | 13 |
| 19.სტრასბური | 18 | 1 | 9 | 8 | 22-33 | 12 |
| 20.ანჟე | 18 | 2 | 2 | 14 | 16-39 | 8 |

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბეთჰოვენის ოპერა; 2. სოხუმის ძველი სახელწოდება; 3. ფსიქიკური დაავადება ბოდვებით, ზოგჯერ ჰალუცინაციებით; 4. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 5. იტალიელი მოდელიერი; 6. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 13. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 14. ქაღალდის ფულის ნიშნების შემსწავლელი დისციპლინა; 15. გიგანტური ზომის გადაშენებული ქვეწარმავალი; 17. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 18. შვეიცარიელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. ებრაელთა სამლოცველო.

**თარაზულად:** 7. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 8. ქართული ზღაპარი; 9. ფრანგი მწერალი, ნოველა „კარმენის“ ავტორი; 10. აეროპორტი მადრიდში; 12. ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი; 14. მაღაროს გასანათებელი, მეშახტის ფანარი; 16. მგალობელი ჩიტი; 18. ძველად სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები ბინითა და კვებით იყვნენ უზრუნველყოფილი; 20. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 21. ქართული ჟურნალი; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 23. კურორტი რაჭაში; 24. ყვითელ ნაყოფიანი შემოდგომის ხილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პარკუჭი; 2. ლაქშმი; 3. სემაფორი; 4. ვილაიეთი; 7. პოსტულატი; 8. ალაშვილი; 12. იაგდტაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ფუტზალი; 19. რიწა; 20. ლადა.

**თარაზულად:** 5. ვალენსია; 6. ედელვაისი; 9. ბუსეტო; 10. მესეფი; 11. კანტე; 13. მასკი; 15. კოპოლა; 18. ზონდი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. ყაზბეგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. ურეკი; 3. პურიტანი; 4. იდიოტი; 5. პლანერი; 6. შავთელი; 11. ბრიზი; 13. ანტალია; 14. იონოსფერო; 15. დეპორტივო; 17. ალგეთი; 18. პრემია; 19. ნეტო.

**თარაზულად:** 7. კელარი; 8. ბუნდესლიგა; 9. ოპტიკა; 10. შიკოლონე; 12. კატამარანი; 14. ისინდი; 16. შარტრეზი; 18. პენელოპა; 20. ზევსი; 21. ერა; 22. ბერიკები; 23. ელია; 24. ჩოხატაური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6837

ევრო — 2.8882

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2674

100 რუსული რუბლი — 3.9517

## ამინდის პროგნოზი 13 იანვრისათვის




## მესიმ პსჟ-ში დაბრუნება გოლით აღნიშნა



ლიონელ მესიმ პსჟ-ში დაბრუნების შემდეგ პირველი მატჩი ითამაშა და მან გოლის გატანაც შეძლო ანჟერის წინააღმდეგ. მატჩის დასაწყისში მესის მაისურზე პელეს სურათი ჰქონდა გამოსახული, რომელიც 29 დეკემბერს გარდაიცვალა. თამაშის შემდეგ მესიმ თქვა, რომ მას სურს პსჟ-სთან ერთად ტიტულების მოგება და ის ამისთვის ძალებს არ დაიშურებს. პსჟ ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია და მეორე გუნდს 6 ქულით უსწრებს.

## მამარდაშვილის ვალენსია რეალთან დამარცხდა



ვალენსია ესპანეთის სუპერ თასის ნახევარფინალში რეალს დაუპირისპირდა და შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. საბოლოოდ რეალმა პენალტების სერია მოიგო და ფინალში გავიდა. მამარდაშვილმა კარგი შეხვედრა ჩაატარა და თავისი გუნდი რამდენჯერმე აშკარა გაშვებულ გოლს გადაარჩინა. პენალტების სერიაში უკვე გიორგიმ ველარ იყოჩაღა და ვერც ერთი თერთმეტმეტრიანის მოგერიება ვერ შეძლო.

## სიმეონემ შესაძლოა სეზონის ბოლოს ატლეტიკო დატოვოს



მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ შესაძლოა სეზონის ბოლოს ატლეტიკო დატოვოს, რადგან ის თვლის, რომ მან ამ გუნდში თავისი თავი ამოწურა და მეტს უკვე ველარ მიაღწევს. სიმეონემ შესაძლოა არგენტინას მიაშუროს, სადაც მისი სამუშაოთი რამდენიმე გუნდია დაინტერესებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ატლეტიკო უკვე ეძებს ახალ მწვრთნელს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბიჭმა ნიანგს ყბები შიშველი ხელებით გაუხსნა და თავისი და სიკვდილს გადაარჩინა



ნამიბიაში ბიჭი უზარმაზარ ნიანგს შეებრძოლა და თავისი ცხრა წლის და მის ყბებში სიკვდილისგან იხსნა.

19 წლის იოჰანეს ნდარა და მისი ცხრა წლის და რეჯიმია ჰაიკერი მდინარეზე წყლის მოსატანად წავიდნენ. გოგონას ნიანგი თავს დაესხა და ჯერ თეძოზე უკბინა, შემდეგ კი მარცხენა მხრიდან მკერდში ჩააფრინდა.

ნდარამ დის ყვირილი გაიგონა და მის საშველად მიიჭრა. ის შიშველი ხელებით ჩააფრინდა ნიანგს ყბებში და მათ გახსნას შეეცადა. ყმაწვილი მანამდე არ მოეშვა რეპტილიას, სანამ მან მის დას თავი არ დაანება.

დაშავებული გოგონა სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მის მდგომარეობას ექიმები სტაბილურად აფასებენ.

ქვეყნის პარკებისა და ველური ბუნების დირექციის ხელმძღვანელმა რიჩარდ ინგურამ განაცხადა, რომ ნიანგს დაიჭერენ და დასახლებული ადგილებიდან მოშორებით გადაიყვანენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 13 იანვრისათვის

**ვერძი** – ემოციური განახლების დღეა, საკმაოდ რთული და კონფლიქტური. ერიდეთ საკუთარი აზრის გამოთქმას ხელმძღვანელობასთან. **კურო** – სამუშაო თქვენგან მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ იოლად შეძლებთ. **ტყუპები** – ყურადღებით იყავით. სამსახურში მცირეოდენი შეცდომაც კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. **კირჩხიბი** – ადრე დაშვებული შეცდომები უთუოდ გააანალიზეთ და საჩქაროდ გამოასწორეთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **ლომი** – დაძაბული დღეა. სამსახურში უფროსობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ემოციებს არ აჰყვეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ დათანხმდებით. საეჭვო ხალხთან ურთიერთობას პლანეტები არ გირჩევენ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** – თავს დაცულად და მშვიდად გრძნობთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ ძალისხმევასა და კონცენტრაციას მოითხოვს. ფინანსები აკონტროლეთ. **თხის რქა** – დროა, ფასეულობები გადააფასოთ. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – საქმიანი პარტნიორები ნერვებს გიშლიან. გეგმების შეცვლა მოგიწევთ. **თევზები** – შესაძლოა ძველმა მეგობარმა გაწყენინოთ. კარგი იქნება, თუ შექმნილი სიტუაციიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– მე შენ მიყვარხარ!
– და რა, უნდა ავტირდე?
– თანაგრძნობა მაინც უნდა გამოხატო.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ფილმი „ოუშენის 11 მეგობარი“ ნახე? და რა აზრის ხარ?
– სიმართლისგან შორსაა.
– რას გულისხმობ?
– საიდან მოზრდილ ადამიანს ამდენი მეგობარი?

•••

გეოგრაფიის მასწავლებელი გიგის ეკითხება:
– რა იცი პანამის არხის შესახებ?
– ჩვენს ტელევიზორში მასეთი არხი არ არსებობს.

•••

პატარა გოგონა, რომელიც პირველადაა ქორწილში, დედას ეკითხება:
– დედიკო, პატარძალს სულ თეთრები რატომ აცვია?
– იმიტომ, რომ ეს მის ცხოვრებაში ყველაზე შესანიშნავი დღეა.
– და სიძეს სულ შავები რატომ აცვია?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რა განსხვავებაა ჩვეულებრივ მუშაობასა და გმირულ, თავდადებულ შრომას შორის?
– ეს სულ ადვილი ასახსნელია ბეკონიანი ერბოკვერცხის მაგალითზე.
– ეგ როგორ?
– ამ კერძზე ქათამმა უბრალოდ წაიმუშავა, ხოლო ღორმა თავი მსხვერპლად შესწირა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლიზა ყენიას რჩეულმა ხელი სთხოვა

მომღერალ ლიზა ყენიას დაბადების დღეზე საყვარელმა მამაკაცმა ხელი სთხოვა.



ამერიკაში წასულმა მომღერალმა დაბადების დღე უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა, რომელიც სასიამოვნო სიახლით დაგვირგვინდა.

25 წლის მომღერალმა რჩეულს ხელის თხოვნაზე თანხმობით უპასუხა.

## „ხელოვნური სუნთქვა“ 14 იანვარს დაიწყება




გახმაურებული ქართული სერიალის „ხელოვნური სუნთქვა“ მესამე სეზონი 14 იანვარს დაიწყება.

ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სერიალში მონაწილეობენ თორნიკე გოგრიჭიანი, რუსკა ქარქაშაძე, ეკა დემეტრაძე და სხვა ცნობილი მსახიობები.

სერიალი, რომელიც აქამდე ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში გადიოდა, ამჯერად ინტერნეტ სივრცეში ვებ გვერდზე „კავეა პლუს“ გავა. „ხელოვნური სუნთქვის“ ნახვა მაყურებლისთვის ფასიანი იქნება.

## პაატა გულიაშვილი ქალ პატიმრებს ესტუმრა



ცნობილი მსახიობი და იუმორისტი პაატა გულიაშვილი ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებას საახალწლო კონცერტზე მოულოდნელად ესტუმრა.

პატიმარმა ქალებმა იმპროვიზირებული 2-საათიანი საახალწლო სპექტაკლი წარმოადგინეს, სადაც პაატა გულიაშვილის პაროდია და სიმღერა შეასრულეს. მათ სასცენო კოსტიუმები თავად შეკერეს და საკონცერტო პროგრამაც თავად შეადგინეს.

პაატა გულიაშვილი მათი ღონისძიების საპატიო სტუმარი იყო, რომელიც წარმოდგენის ბოლოს სცენაზე ავიდა და პატიმარ ქალებთან ერთად იმღერა.

## თომას ანდერსი თბილისში კონცერტს გამართავს




მსოფლიო პოპ-ლეგენდა თომას ანდერსი თბილისში ჩამოვა და კონცერტს გამართავს.

თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჯგუფ „მოდერნ თოქინგის“ დამფუძნებელი და სოლისტი მსმენელის წინაშე 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს უნიკალური შოუთი წარდგება.

თომას ანდერსი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საყვარელი პოპ არტისტია, რომელიც ბოლო 40 წლის განმავლობაში მთელს მსოფლიოში მილიონობით თაყვანისმცემელს კონცერტებით ანებივრებს.

თომასის თქმით, საკონცერტო პროგრამა საუკეთესო სიმღერებს აერთიანებს და ერთ-ერთი საუკეთესო იქნება, რაც მას ბოლო წლებში გაუკეთებია.

თომას ანდერსის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 50-დან 250 ლარამდეა.

## ავთანდილ ვარსიმაშვილმა ბუდაპეშტში „კავკასიური ცარცის წრე“ დადგა



თავისუფალი თეატრის დამაარსებელმა რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა ბუდაპეშტში, უნგრეთის ნაციონალურ თეატრში ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ დადგა.

პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა. ქართველი რეჟისორი და თეატრის მსახიობები მაყურებელმა მქუხარე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

## გურამ ბათიაშვილი 85 წლის გახდა



ცნობილი დრამატურგი გურამ ბათიაშვილი 85 წლის გახდა.

იუბილარი შემოქმედის პიესები აქტიურად დადგმულა როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი, როგორც მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის წევრის, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტისა და 34 წლის განმავლობაში სახელოვანი ტრადიციების ჟურნალის – „თეატრი და ცხოვრება“ – რედაქტორის მოღვაწეობა.

„ქართველი ებრაელი“ – თუ ვინმე სრულყოფილად განასახიერებს ამ უნიკალური სინტაგმის შინაარსს, მათ შორის ერთ-ერთი პირველი სწორედ გურამ ბათიაშვილია. ამის დასტურია მისი ორი პიესა: „ვალი“, რომელიც ასახავს, რას ნიშნავდა საქართველო ქართველი ებრაელისთვის და „1832 წელი“ – მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ განიცდიდა იგი თავისი მეორე სამშობლოს ტრაგიკულ ბედსა და ისტორიას.

გურამ ბათიაშვილს ასაკი არ აშინებს. 85 წლის დრამატურგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი დრამატურგისთვის ყველაზე დიდი ჯილდო რიგითი ადამიანების სიყვარულია, რომელსაც ყოველთვის გრძნობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოლონელი გრაფი, კომპოზიტორი, დიპლომატი; 2. ღვთაების ხატის სადიდებელი გუნდური სიმღერა, საეკლესიო დღესასწაულების დროს; 3. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ბრილიანტი; 4. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 8. კოსმოდრომი იაპონიაში; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერია ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული, თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. უძველესი ებრაული ბიბლია; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 5. სახელმწიფოთა შორის თანხმობა ელჩების დანიშვნის შესახებ; 6. ქართველი, საერთაშორისო კატეგორიის რაგბის მსაჯი; 9. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 10. შვილიშვილის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ინგლისელ კოლონიზატორთა მეტსახელი; 13. ცხელი, შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. უღელტეხილი საქართველოში; 18. აკვიატებული შიში; 21. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 22. ბაზრის ძველი სახელწოდება; 23. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

